სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 4 დეკემბერი 2003 №231 (2002) ფასი 50 თეთრი

ანრი მიშელი თბილისში ჩამოდის



იხილეთ მეორე გვერდი

კალაძე დაბრუნდა

68 წუთი გენუაში და აუცილებლად იოკოჰამაში



ბადრი კეთილაძის ფოტო

ინტერვიუ კახა კალაძესთან
იხილეთ მეორე გვერდზე

პატარა გორი დიდი გინებით ერთხელაც გამოირჩა და დინამოელებს ლანძღვით დაუხვდა — ალაგობრივად შეზავებული „ტყ“ და „შვც“ ბგერათკომპლექსზე აგებული ბილწსიტყვაობის ნიაღვარი გორელებს იმად წაადგათ, რომ გინებითვე გამომპასუხებელი ლადო ბურდული მსაჯმა მოედნიდან გააძევა, თუმს „დილა“ საბოლოოდ მაინც ქულასღა გამორჩა. სიმღერა, ჩირაღი და ჭიდილი იყო ავლაბარში, თუმც თბილისურ-ვიტური დერბი მშვიდობიანად დასრულდა. არცთუ ცოტა ქომაგი გააბდლებულა ოზურგეთში, მაგრამ იქაურ ფეხბურთელებს და პოლიციას უმარჯვიათ. ქუთაისელთაგან თინეიჯერსა და უკრაინელს უჩაუქიათ, არც „ბათუმი“ ყოფილა ჯაბანი, ხოლო ბოლნისი „კოლხეთისთვის“ ბოლი და ნისლი გამოდგა, ისევე, როგორც გუშინდელი ტური ზეექვსეულზე მეოცნებე ხუთი გუნდისთვის — პირველი ეტაპის ბოლო ტური მათგან ორს ქვეექვსეულში გადაუძახებს.

ნუ იგინები!

გორში ხალხმა ფეხბურთელს აგინა, ფეხბურთელმა ხალხს და... ვინ რა მოიგო ამით?

ბადრი კეთილაძის ფოტოები

გორში თავშეუკავებლობა
ლადო ბურდულს ძვირი დაუჯდა

„დილა“ — „დინამო“ 0:0. თბილისური შეტევა გორელთა კარზე. ვერც რატი ალექსიძემ გაიტანა

REUTERS მიღებულია

რეალი — ატლეტიკო. მადრიდული დერბი რონალდოს გოლით დაიწყო

ჰოლანდია

დივიზიონი
გადადებული მატჩები
ვოლენდამი 2:0 ტვენტე
ალკმაარი 2:1 გრონინგენი
ჰერენვენი 2:0 დენ ჰაგი

შვეიცარია

ჩემპიონატი
გადადებული მატჩი
სიონი 4:0 ვადუცი

თურქეთი

სუპერლიგა
გადადებული მატჩი
ფენერბაჰჩე — რიზე *გადაიდო*

ბელგია

თასის 1/8 ფინალი
კიონლი 1:1დ.დ.(პენ.1:3, 1:1) *ფიურტი*
ლიუგეკი 1:0 ფრაიბურგი
ვერდერი 6:1 ჰერტა
გაიერნი 3:0 ჰაგბურგი

იტალია

თასის 1/8 ფინალი
I მატჩები
ბოლონია 0:1 უდინეზე
ვენეცია 0:2 პარმა
მოდენა 0:2 ლაციო
სამპდორია 0:1 მილანი

საფრანგეთი

I დივიზიონი XVI ტური
ოსერი 1:0 ლე მანი
ბასტია 3:2 რენი
გენგამი 2:0 აიაჩო
ლილი 2:0 ნანტი
ტულუზი 1:2 ლანსი
პსჟ 3:2 სტრასბური
მონპელიე — სოშო *გადაიდო*
ლიონი — ბორდო *გადაიდო*
მეცი — მარსელი *გადაიდო*
მონაკო — ნიცა *გადაიდო*

II დივიზიონი XVII ტური
ლე ავრი 5:0 გენიონი
ანგიენი 2:1 რუანი
გიზანსონი 0:1 კაენი
შატორუ 1:0 ისტრი
კრეტეი 3:0 ლავალი
ნანსი 2:1 ანჟერი
სედანი 1:1 კლერმონი
სენტ ეტიენი — ნიორი *გადაიდო*
ვალანსი — გრენოგლი *გადაიდო*

ინგლისი

დივიზიონი
გადადებული მატჩი
ნოტინგემი 1:1 იფსვიჩი

ლიგის თასი 1/4 ფინალი
ასტონ ვილა 3:0 *კრ. პალასი*
ტოტენჰემი 3:1 *მანჩესტერ სიტი*
ლივერპული 2:3 *ბოლტონი*
მიდლსბრო 0:0დ.დ.(პენ.5:4) *ოსერტონი*
რედინგი 0:1 *ჩელსი*
ვოლს ბროვიჩი 2:0 *მანჩესტერი*

შოტლანდია

I დივიზიონი
გადადებული მატჩი
ძუინი 1:2 სენტ მირენი

ლიგის თასი 1/4 ფინალი
დანდი 1:0დ.დ.(0:0) *ჰარტსი*
რანჯერსი 3:0 სენტ ჯონსტონი

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
XIV ტური
ბეტისი 1:1 მურსია
ვილიარეალი 0:2 მალიორკა
ესპანიოლი 0:1 ოსასუნა
სელტა 2:2 ალბასეტე
ვალიადოლიდი 1:1 დეპორტივო
მალაგა 5:1 ბარსელონა
რეალი 2:0 ატლეტიკო

რეალი	14	9	3	2	29:15	30
ვალენსია	14	8	4	2	27:11	28
დეპორტივო	14	8	3	3	22:11	27
ოსასუნა	14	6	5	3	15:10	23
ატლეტიკო	14	7	1	6	17:18	22
რასინგი	13	6	2	5	18:15	20
ბილბაო	13	6	2	5	16:14	20
მალაგა	14	6	2	6	18:17	20
ბარსელონა	14	5	5	4	18:18	20
ვილიარეალი	14	5	5	4	14:15	20
ვალიადოლიდი	14	5	5	4	19:21	20
მალიორკა	14	6	2	6	18:22	20
სევილია	13	3	6	4	16:16	15
სელტა	14	3	6	5	17:19	15
ბეტისი	14	3	6	5	16:18	15
სარაგოსა	13	4	3	6	13:15	15
სოსიედადი	14	3	6	5	15:19	15
ალბასეტე	14	4	1	9	15:21	13
მურსია	14	1	7	6	13:25	10
ესპანიოლი	14	2	2	10	10:26	8

საბერძნეთი

თასის 1/8 ფინალი
მატჩი
პროდეფტიკი 0:1 აკრატიტოსი

ბელგია

თასის 1/8 ფინალი
ლიერსი 5:0 ფილენი

ჟენევა

პირველი ჯაჭვური ძოლა. V ტური. 3 დეკემბერი

A ჯგუფი
ციბონა 69:68 ულძერი
პო ორტეზი 81:78 პარტიზანი
ბარსელონა 79:62 აეკ

C ჯგუფი
ტაუ 95:75 ფლეიონსკი
ოფენსი 79:68 ალბა
ბენეტონი 80:75 ოლიმპიაკოსი

B ჯგუფი
ცსკა 70:71 სკიპერი



ანრი მიშელი თბილისში ჩამოდის

ხვალ ფრანკფურტში მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართება, გაირკვევა საქართველოს ნაკრების მეტოქეთა ვინაობა, თავად ნაკრები კი ჯერაც უმწვრთნელოდაა. ცნობილი თურქი აგენტი ბაირამ თუთუმლუ ჩვენთან ანრი მიშელის ჩამოყვანას რომ ეშურება, არახალია – წილისყრის შემდეგ თუთუმლუ, მიშელი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ერთმანეთს იქვე, ფრანკფურტში უნდა შეხვედროდნენ 8-9 დეკემბერს, თუმც გუშინ თუთუმლუმ გვაცნობა, რომ ეს შეხვედრა ფრანკფურტში არ გაიმართება

ბაირამ თუთუმლუ: დაგპირდით და აგისრულეთ



ბაირამ თუთუმლუ: „ანრი მიშელი ჩამოვა“

— ანრი მიშელს თბილისში ჩამოსვლა სურს. მას ყველაფერი აინტერესებს თქვენზე, მათ შორის ისიც, თუ რა სიტუაციაა თქვენთან ცნობილი პოლიტიკური მოვლენების შემდეგ.

— როდის ჩამოვა მიშელი თბილისში?

— ფრანკფურტის წილისყრის შემდეგ მე და მიშელი თბილისში ჩამოვალთ, ზუსტ თარიღს კი ჯერ ვერ გეტყვით.

— თქვენ და მიშელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოწვევით ჩამოხვალთ თბილისში?

— დიახ, ზუსტად ეგრეა. ასე რომ, ნუ ნერვიულობთ, ყველაფერი კარგად მიდის. მე თქვენი ქვეყანა ძალიან მიყვარს და დაგპირდით კიდეც, რომ მხოლოდ და მხოლოდ ცნობილ მწვრთნელს ჩამოგიყვანდით. სხვათა შორის, ერთი კვირის წინ მიშელის გაწვრთნილმა კასაბლანკის „რაჯამ“ კაფის თასი მოიგო — აფრიკის საკლუბო ტურნირი.

დავით თავგართქილაძე

ფედერაციამ PUMA ახირჩია

„პუმას“ ცნობილი კლიენტები: ფრანჩესკო ტოტი და კრისტიან ვიერი

საქართველოს ნაკრებს ახალი წლიდან გერმანული „პუმა“ შემოსავს.

ეს ამბავი გუშინ, ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასა და „პუმას“ ხელმძღვანელების მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა.

ჩვენებს ტექნიკური სპონსორობის თაობაზე ერთი თვის წინ „პუმას“ გარდა „კაპამაც“ მიმართა, კონტრაქტის გაგრძელება ფედერაციას „ლოტომაც“ შესთავაზა, მაგრამ საბოლოო არჩევანი „პუმაზე“ შეჩერდა. ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია „პუმასთან“ შეთანხმების პირობები და დეტალები, თუმც კი ვიცით, რომ ფედერაცია საერთო ჯამში წელიწადში დაახლოებით 50 ათას ცალ „პუმას“ ნაწარმს (ტრუსები, მაისურები, ბუცები და სხვაც ბევრი საფეხბურთო აღკაზმულობიდან) მიიღებს და საქართველოს ნაკრები ამ ფირმის ფორმით უკვე თებერვალში, კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებს.

დიზაინზე რაც ითქმის, ისაა, რომ „პუმა“ ქართველებს ისეთივე მოდელებს სთავაზობს, როგორითაც იტალიის ნაკრები თამაშობს ბოლო დროს. ჩვენების ფორმის ფერები, რა თქმა უნდა, თეთრი და შინდისფერი იქნება, სათადარიგო — შავი. სხვათა შორის, „პუმას“ „პალიტრაში“ მკაფიო შინდისფერი არ ჰქონია, თუმც გუშინდელი მოლაპარაკებისას ეს საკითხი ჩვენების სასარგებლოდ გადაწყდა.

ძოგა ინასარიძე

ანჩელოტი კალაძეს გურთს აჩვევს



როგორც იქნა, დასრულდა ლამის სამთვენახევრიანი უქმობა და წუხელ ჩვენებურმა ჯახა ჯალაძემაც ითამაშა. საქართველოს ნაკრებისა და „მილანის“ მცველი ჯარლო ანჩელოტიმ დაპირებისამებრ გენუაში ძირითადში გაამწესა – ფეხბედნიერი გამოდგა ჯალაძის დებრუნება, „მილანმა“ „სამპდორიას“ იტალიის თასის პირველ მატჩში 1:0 მოუგო.

წუხელვე ჯახა ჯალაძეს გენუაში დავუკავშირდით და, ცხადია, დებრუნება მივულოცეთ...

— ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ, როგორც იქნა, მოედანზე გავედი.

— მაგრამ ანჩელოტიმ 68-ე წუთზე შეგცვალა...

— ბუნებრივია და არც მიკვირს. პირველი თამაში იყო და მეც ნელნელა ვუშინაურდები ბურთს. მართალია, ტკივილები ოდნავ კიდევ მაწუხებს, მაგრამ ვთვლი, რომ მაინც ნორმალურად ვითამაშე.

— ვივარაუდოთ, რომ კვირას „ემპოლისთანაც“ ძირითადში იქნები?

— წინასწარ, აბა, რა გითხრა. მწვრთნელი გადაწყვეტს ყველაფერს. მე, ცხადია, მეიმედება, რომ „ემპოლისთან“ მატჩს სასტარტოში დავიწყებ.

— „სამპდორიასთან“ მოგება ლოგიკურია?

— აბსოლუტურად. ისე, ძალიან რთული მატჩი კი იყო, უპირატესობას მაინც ჩვენ ვფლობდით, ისინი ძირითადად კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. ვერ ვიტყვი, რომ უკვე მეოთხედფინალში ვართ, ბურთი მრგვალია და რა იცი, რა ხდება, საპასუხო მატჩი წინაა და ისიც უნდა მოვიგოთ.

— **პრესაშიც დაიწერა და საგენტოებმაც გაავრცელეს, ანჩელოტის „ბოკა ხუნიორსთან“ საკონტინენტთაშორისო თასის ფინალი კალაძის გარეშე ვერ წარმოუდგენიაო...**

— იოკოჰამაში, რა თქმა უნდა, წავალ. ამ მატჩისთვის მეც და თანაგუნდელებიც უკვე რა ხანია, ვემზადებით და აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

— **და ნაკრები. ფრანკფურტში ხვალ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევის წილისყრაა...**

— ვიცი და ნურავინ ელის, რომ იოლი ჯგუფი შეგვხვდება. სად არიან ახლა ადვილი და სუსტი მეტოქეები. თუ რამეზე გვსურს ვიფიქროთ, ნებისმიერს უნდა ვეთამაშოთ.

ბიორბი ფუფაკიძე

საქართველოს **უმაღლესი** პირველი 15 ჩემპიონატი **ლიგა** ეტაპი

21 ტური

პატარა გორი გინებაში მართლა დიდია

ორგზაურად მაგინებლის ფასი ზუსტად ორი გაურია

ლადო ბურდულს ჯერ აგინეს, მერე მოედნიდან გააძევეს

კობა ინასარიძე გორიდან

დაძაბული, მნიშვნელოვანი, ემოციით სავსე იყო გუშინდელი მატჩი. გაფრთხილება, გაძევება, კამათი, შეურაცხყოფა — ერთი ნაპერწკალი და რა მოხდეოდა, ვინ იცის...

გორელი ქომაგების აგრესიულობა „თენგიზ ბურჯანაძეზე" საფეხბურთო საქართველოში არავის უკვირს, თუმც გუშინდელმა ბილწსიტყვაობამ მართლაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

სწორედ ქომაგთან შეპასუხებას შეეწირა დინამოელი ბურდული — თამაში შეჩერებული იყო, გორელებმა თბილისელი უმიზეზო გინებით რომ აიკლეს. ძნელია ასეთი შეურაცხყოფის მოთმენა. მით უფრო, როცა 40 წუთი ასე გრძელდება. ლადოსაც ნერვებმა უმტყუნა და „ბარაქიანი" ხურდა დააბრუნა. კრიჭაშვილი, რომელიც ფეხნატკენ გვარამაძეს თავზე ადგა, წამში მოედნის მეორე ნახევარზე გაჩნდა და დინამოელს უსიტყვოდ წითელი აუფრიალა. ამას, ბუნებრივია, თბილისელთა პროესტი და მსაჯთან უშედეგო კამათი მოჰყვა. მატჩი მალე განახლდა, თუმც ტაიმის დამთავრებამდე დარჩენილი ხუთი წუთი „დინამოსთვის" მართლაც რომ მძიმე გამოდგა — როცა ბურთი სტუმარს ჰქონდა, მათი მისამართით ბილწობა არ წყდებოდა. ასევე გაგრძელდა მთელი 90 წუთი.

მატჩის მერე კი „დინამომ" გასახდელში შეირბინა და უმალ სტადიონიც დატოვა. თბილისელთა უსაფრთხოებაზე ვინმე თუ იყო პასუხისმგებელი, არ ვიცი, თითო-ოროლა პოლიციელი ნახევარ ტრიბუნას ვერ შეაკავებდა.

„დილას" სამი ქულა ჰაერივით სჭირდებოდა... რომ მოეგოთ, გორელებს ზეექვსეული გარანტირებული ექნებოდათ, მათ ეს ვერ შეძლეს, ოდენ ქულა შეიმატეს და ახლა დიდი შანსია, ქვეექვსეულში აღმოჩნდნენ. არადა, სამწუხარო იქნება, ასე თუ მოხდა, ეს სეზონი ხომ „დილამ" ომახიანად დაიწყო და თავის წარმატებით ბევრიც გააკვირვა.

მოკლედ, „დილამ" თავი რთულ მდგომარეობაში ჩაიგდო. სათქმელი რომ პირდაპირ ითქვას, რეალურად „დილა" „დინამოს" მომგები არ არის და გაუგებარია, თავიანთი წამხდარი საქმის გამოსწორებას გორელები მაინცდამაინც „დინამოსთან" საშინაო შეხვედრაში რატომ ითხოვდნენ. „დინამო" თუ ჩემპიონატის ლიდერია, ეს არ ნიშნავს, რომ ბოლოსწინა ტურში გორში აუცილებლად უნდა წააგოს.

ამ მატჩზე მითქმა-მოთქმა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა „დილამ" ბათუმში წააგო და ამით საექვსეულო შანსები შეიმცირა. გუშინდელმა შეხვედრამ გორული პერსპექტივა უფრო გაამკრთალა. კვირას კი ქუთაისში „ტორპედო" — „დილას" მატჩისას რა მოხდება, ღმერთმა უწყის. „ტორპედო" ის გუნდია, რომელიც გააფთრებული იბრძვის ექვსეულში შესასვლელად და მისი მთავარი ხელის შემშლელი სწორედ „დილაა".

აქამდე მოვედით და თამაშზე სიტყვაც არ გვითქვამს, თუმც კი ბევრიც არაფერია აღსაწერ-მოსაყოლი. „დინამო" ფრთხილობდა, ბურთს აკონტროლებდა და მეტოქის შეცდომაზე გამოჭერას ელოდა. ელოდა, მაგრამ საბოლოოდ არაფერი გამოუვიდა, სტუმრებმა მიზანი ვერ გაისწორეს. შესაძლო იყო, თბილისელებს პენალტით გაეტანათ, თუმც რაც არ დანიშნულა, როგორ დაარტყამდნენ — „დილას" საჯარიმოში ბურთისთვის მებრძოლ ამისულაშვილს მასპინძელთა მცველებმა მაისურა გახადეს — კრიჭაშვილმა დინამოელი დააჯარიმა. ამისულაშვილმა ერთხელ ხარიხასაც მოარტყა, ახალაიამ და ალექსიძემ კარს ააცილეს, დარასელიას სოლოლაშვილმა აჯობა. გულხელდაკრეფილი არც „დილა" იყო: ძელს ოლგესაშვილმაც უთავაზა საჯარიმოდან, ბექა ჩიტაიამ მოხდენილი თავური კარს გადააცილა, მარღიშვილის იდეალური პასით იგივე ჩიტაია გვარამაძესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა, მოკლედ...

პრესკონფერენცია კი აღარ გამართულა. მიუხედავად იმისა, რომ გორელებმა სახელდახელო „ლოჟა" მატჩის დამთავრებისთანავე მოაწყვეს, „დინამოს" სტადიონზე აღარ დაედგომებოდა...

გორი. 3 დეკემბერი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 2 000 (ტევადობა 8 230)

დილა 0:0 დინამო

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, მარღიშვილი (ხანიშვილი 70), ოლგესაშვილი, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია, რაზმაძე, გ. ჩიტაია
სათადარიგონი: თ. ილურიძე; გ. კაიდარაშვილი, მასურაშვილი, გ. ნადირაძე, ქარქუზაშვილი
მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი

დინამო: გვარამაძე, წერეთელი, მაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, ახალაია (ხიზანეიშვილი 80), ბურდული, გოგობერიშვილი, დარასელია (ანჩაბაძე 66), იაშვილი (კანდელაკი 46), ალექსიძე
სათადარიგონი: ზოიძე; ი. სამხარაძე, მელქაძე, მ. ბობოხიძე
მწვრთნელი: იგო შუშაკი

გაფრთხილება: დარასელია (65), კანდელაკი (83)

გაძევება: ბურდული (39)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. მეშკოვი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა; **დირექტორი:** ვ. კობალეიშვილი

ჯარიმა: 26-24; კუთხური: 7-3; კარისკენ დარტყმა: 4-3; კარში დარტყმა: 2-2; თამაშგარე: 1-3

დინამოელმა მცველმა მამუკა წერეთელმა ზაზა ლაცაბიძე მოიგერია

ბათუმს ევროვნულზე ჩოლოქი ელის

ბათუმი. 3 დეკემბერი. 14 საათი. დინამო. 1 000 (ტევადობა 5 000)

ბათუმი 2:1 სპარტაკი

1:0 ფირცხალაიშვილი (10), 1:1 ჩიკვილაძე (54), 2:1 ბეჟანიძე (79)

ბათუმი: ქვაჩახია, მახარაძე, გალოგრე, ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი, ბესიკ თედორაძე (მანჩხავა 64), ქაცარავა, რომანაძე (დარჩიძე 46), ი. შენგელია, ფირცხალაიშვილი (ბეჟანიძე 71), კაკალაძე
სათადარიგონი: ი. ბალაძე; ცანავა, კობიძე, დუმბაძე
მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი, ასლან ბალაძე

სპარტაკი: მამალაძე, დონდოლაძე, ჟვანია, ჩიკვილაძე, ებრალიძე (გ. დოლიძე 34), ბოლქვაძე, ა. იმნაიშვილი, ფირცხალავა, ჯანგიძე (კოტრიკაძე 46), კვერენჩხილაძე (ბ. გოცირიძე 83), ტატანაშვილი
სათადარიგონი: ბ. შეყრილაძე; მგელაძე
მწვრთნელი: ვასილ ქეიშვილი

გაფრთხილება: დონდოლაძე (67)

მსაჯები: ი. კახიანი (თბილისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (სამივე ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; **დირექტორი:** მ. თევზაძე

ჯარიმა: 16-26; კუთხური: 4-7; კარისკენ დარტყმა: 5-8; კარში დარტყმა: 4-8; თამაშგარე: 6-1

კახა შალამბერიძე ბათუმიდან

მატჩის დაწყებამდე ბათუმურ სარბიელზე სულ საახალწლო სიმღერები ისმოდა. ვერ გეტყვით, რას ელიან ბათუმელები ახალი წლისგან, მაგრამ ერთი ფაქტია, „ბათუმის" ზეექვსეულში მოხვედრა ძალიან სათუოა. ზღვისპირელები დღესაც მისტირიან თბილისურ „ვიტ ჯორჯიასთან" ამასწინდელ მარცხს. ის თამაში მოგვეგო და ექვსეულს ვინ წაგვართმევდაო... ახლა ხომ ამ საწადელის მიღწევა ბოლო ტურში თბილისში „დინამოს" დაჩოქებას ნიშნავს, რაც ურთულესი საქმე იქნება ახალგაზრდული „ბათუმისთვის".

მეორე მხრივ, ჩხარტიშვილ-ბალაძის გუნდისთვის არც ქვეექვსეულში თამაში უნდა იყოს მაინცდამაინც დიდი კატასტროფა — ამ გუნდით ხომ ევროთასებზე გასვლა წარმოუდგენელი იქნებოდა, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას კი უპრობლემოდ შეძლებს, თან გუნდიც უფრო შეიკვრება და...

„ბათუმმა" პირველივე სახიფათო მომენტი გოლად აქცია: სტუმარმა დონდოლაძემ უწყინარ სიტუაციაში დაკარგა ბურთი და მეკარესთან პირისპირ გასულმა ფირცხალაიშვილმა შანსი ხელიდან არ გაუშვა. ტრავმებისა და ოჯახური პრობლემების გამო ფირცხალაიშვილმა ოდენ მესამედ ითამაშა „ბათუმში" და უკვე მეორედ გაიტანა.

მასპინძელთა უპირატესობა ათიოდ წუთს გაგრძელდა, თუმც ამ მონაკვეთში სახეირო სხვა ვერაფერი გააკეთეს. მერე კი ბურთი „სპარტაკმა" „გადაიბარა" და თამაშმაც ბათუმელთა ნახევარზე გადაინაცვლა. სტუმრები შეტევის გამწვავებას ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. ერთადერთი დიმიტრი ტატანაშვილის დარტყმული იყო, მასპინძელი ქომაგისგანაც რომ დაიმსახურა ტაში — ბურთი ხარიხას მოხვდა. სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა.

მეორე ნახევარი ბათუმელთათვის მწარე სიურპრიზით დაიწყო. შეცვლაზე შესულმა ვიტალი დარჩიძემ მასპინძელთა თამაში უფრო დახვეწა, თუმც „სპარტაკმა" ანგარიშის გათანაბრება მაინც შეძლო — უმეთვალყურეოდ დარჩენილმა თენგიზ ჩიკვილაძემ მეკარეს შანსი არ დაუტოვა. ეს ამბავი 54-ე წუთზე მოხდა.

„ბათუმმა" ძალები მაინც მოიკრიბა და რამდენიმეწუთიანმა შტურმმა შედეგი გამოიღო. გამარჯვების გოლი შეცვლაზე შესულებმა გაჩარხეს: მანჩხავას ჩაწოდებულს ბეჟანიძემ აუღებელი თავური მიაყოლა — 2:1.

ბოლო წუთზე დარჩიძემ გაიბრწყინა, მაგრამ მეკარის თავზე გადავლებული ბურთი ძელს მოხვდა. რამდენიმე წამში კი ზურაბ ქვაჩახიამ შესაშური რეაქციით იხსნა „ბათუმის" კარი. მატჩიც აქვე დასრულდა. ბოლო ტურში „ბათუმი" ექვსეულისკენ სავალ გზაზე დიდ საკონტროლო-გამშვებ პუნქტს გადაეყრება — თბილისის „დინამოს".

ჩახვეული ხმა და ბურთი, ჩახვეული სევდაც



ზურაბ ბერიძე



გიორგი დევდარიანი

„თბილისმა“ ანგარიშის გათანაბრების მეტი ვეღარა შეძლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბალე ულუმბელაძის ფოტო

ბაბალე ულუმბელაძის ფოტო

თბილისი. 3 დეკემბერი. 14 საათი. ისანი. 1 000 (ტევადობა 5 000)

თბილისი 1:1 ვიტ ჯორჯია

0:1 დეკანოსიძე (15), 1:1 გ. ნუგ. ჭელიძე (57)

თბილისი: ნაჭვეპია, მიკუჩაძე, სიდამონიძე, დ. ოდიკაძე (გ. ნოდ. ჭელიძე 63), აფციაური, მესხი, გ. ნუგ. ჭელიძე (შემარნიშვილი 84), ელიავა, ლოლაძე, დავითაშვილი (გეწაძე 46), მიქიაშვილი

სათადარიგონი: გ. გაბელია; ყველაშვილი, ხოჯავა, ნადირაშვილი

მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი

ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, ვ. გოჩაშვილი, ინწკირველი, ლ. მურუბაშვილი, იმედაშვილი, დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, გველესიანი, დეკანოსიძე (დათუნაიშვილი 61), რ. გოცირიძე (მარცვალაძე 75), ადამია

სათადარიგონი: ჭურაძე; ზვ. ლაბაძე, კვახაძე, ბერელიძე, ე. მერებაშვილი

მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე

გაფრთხილება: მიკუჩაძე (34), იმედაშვილი (34), გოჩაშვილი (51)

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; **დირექტორი:** ს. კოტრიკაძე

ჯარიმა: 14-17; **კუთხური:** 1-4; **კარისკენ დარტყმა:** 2-5; **კარში დარტყმა:** 7-5; **თამაშგარე** 2-1

პაატა კვანტალიანი

ლამაზი და ჩვენი ფეხბურთისთვის უჩვეულო სიურპრიზი მოუმზადეს „თბილისის“ ხელმძღვანელებმა გუშინ „ისანზე“ მისულთ. მატჩის დაწყების წინ შუშხუნებით ფოიერვერკი მოაწყვეს ბავშვებმა, თამაშზე საგანგებოდ მიწვეულმა ანსამბლმა „ფაზისმა“ კი ეროვნული ჰიმნი დააგუგუნა. „ფაზისი“ არც მერე გაჩერებულა, ექვსკაცა შიგადაშიგ ისეთ მრავალჟამიერსა და ჩაკრულოს გამოურევდა, კაცს მოედნის ნაცვლად ტრიბუნისკენ გაექცეოდა თვალი, თუმც ფეხბურთსაც შეეხედებოდა. მატჩს გვარიანი ინტრიგა ახლდა — ახალგაზრდულ „თბილისს“ საექვსეულოდ „ვიტ ჯორჯიას“ დამარცხება სჭირდებოდა. საბოლოოდ, ამ საქმიდან არფერი გამოვიდა, არადა, მასპინძლებმა გვარიანად იშრომეს და რომ გამართლებოდათ, მოიგებდნენ კიდეც.

მატჩის წინ თბილისელთა თავკაცი გიორგი დევდარიანი სიურპრიზზე საუბრობდა, შეასრულა კიდეც სიტყვა — მიკუჩაძესა და ოდიკაძეს თავდასხმაში სულიკო დავითაშვილი შეაშველა, თუმც ამ სარისკო ექსპერიმენტში დევდარიანს არ გაუმართლა. დავითაშვილი ინერტული იყო, მასპინძელთა ნახევარდაცვა კი ფრთამორღვეული. ამის წყალობით შეძლო „ვიტ ჯორჯიამ“ ანგარიშის გახსნა. ადამიამ უპრობლემოდ გადაირბინა მარჯვენა ფრთა და გოჩაშვილს გაუგორა ბურთი, მან კი საჯარიმოს სიახლოვეს დეკანოსიძეს გადააწოდა. „დეკამ“ უცნაური ტრაექტორიით ჩაჭედა ბურთი ნაჭყეპიას კარში — 0:1.

ტაიმის ბოლომდე „თბილისს“ ცდა არ დაუკლია გასათანაბრებლად, თუმც ვეტერინარებმა მკაცრი სათამაშო დისციპლინით შესვენებამდე უგოლოდ შეინახეს კარი. ვიტელები მეტოქის შეტევებისას სწრაფად ახერხებდნენ გადაწყობას, შედეგად 6 მცველით უდგებოდა ბერიძის გუნდი მოწინააღმდეგეს და „თბილისის“ საგოლე შანსიც, ფაქტობრივად, იოტისხელა ხდებოდა.

შესვენებაზე დევდარიანმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო. დავითაშვილის ნაცვლად გეწაძე ჩართო თამაშში, შეტევაში კი აფციაური გაამწესა. „თბილისის“ იერიშები უფრო მწვავე გახდა და ძალე გოლიც გავიდა — ოდიკაძის ჯარიმისას გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ ბურთს თავი წაჰკრა და თავისინთა სათადარიგოთა სკამი წამოშალა.

მატჩის დარჩენილი დრო კახური მრავალჟამიერის გუგუნში და მასპინძელთა ამაო მცდელობაში გაილია.

საექვსეულოდ „თბილისს“ ძნელი საქმე მართებს — ბოლო ტურში „ლოკომოტივი“ უნდა დაამარცხოს სტუმრად.

კამპუშმა ბაყაყი დააყიყინა

გიორგი ვაშაკიძე მცხეთიდან

ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერ „მცხეთასთან“ დიდი ანგარიშით მოგებამ ქუთაისელთა ბრაზილიელი მწვრთნელი ჟოაო კამპუში ქართულად აალაპარაკა. წინა თამაშებისგან განსხვავებით, მოუსვენარი კამპუში ამჯერად შედარებით მშვიდად უცქერდა შეგირდთა თამაშს, თუმც ერთი-ორჯერ ისე ენერგიულად (და, რაც ყველაზე გასაკვირია, ქართულად) შესძახა, თქვენი მოწონებული: ერთ-ერთ ეპიზოდში მცირედ დაშავებულ ნერგაძეს გასამხნევებლად გია კაია, გია კაია უძახა, მერე კი კარისკენ დაძრული ყმაწვილი დარსაძე შეაგულიანა — მიდი, მიდი, პასი...

სეუ ჟოაომ განსაკუთრებით დარსაძის მეორე გოლისას გაიხარა, ეს 77-ე წუთზე მოხდა: 17 წლის გიორგი დარსაძემ დაახლოებით ოცდახუთი მეტრიდან ბურთს ლაზათიანი ამოსცხო და ოდიკაძის კარის ცხრიანში გატანილმა გოლმაც ბრაზილიელი ლამის გააგიჟა, ბრავო, ბრავო დარსაზეო, ხმამაღლა იძახდა.

და მართლაც ბრავო. ეჭვი არაა, ქუთაისის „ტორპედოს“ 17 წლის დარსაძის და 16 წლის ნიკა ნადირაძის სახით ძალიან ნიჭიერი მოთამაშეები ეზრდება. ეს ჯერაც ბავშვები ისე ენერგიულად ჩაერთვნენ თამაშში, ტრიბუნაზე მჯდარი „ტორპედოს“ ვიცე-პრეზიდენტი შედან ნანიკაშვილი სიხარულისგან და სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტდა.

გუშინ დარსაძე უფრო გამოირჩა. იგი 29-ე წუთზე დაშავებული ანდრი პოროშინის ნაცვლად შევიდა მინდორზე, პირველი ტაიმის დარჩენილი დრო, ასე ვთქვათ, გახურებას მოანდომა, მეორეში კი საქმეს ჩინებულად გაართვა თავი — ჯერ უზუსტესი პასით უბერებელ კვეტენაძეს გაუწია ასისტენტობა, მერე კი ორი გოლი შეაგდო, მეორე — მართლაც ულამაზესი.

კამპუშმაც ნამატჩევს სწორედ დარსაძე-ნადირაძეზე გაამახვილა ყურადღება. მიუხედავად ასაკისა, მაოცებს ამ ბავშვების ვარჯიშისადმი დამოკიდებულება და ის, რომ დარსაძემ ორი ლამაზი ბურთი გაიტანა, სწორედ ამ დაუზარელი შრომის და დიდი ნიჭის შედეგიაო.

საუბარში ვიყავით გართულნი, როცა ტორპედოელმა რომან ახალკაცმა კამპუშს უთხრა, ბოლო ტურში გორის „დილასთან“ თამაშს შევძლებო. ახალკაცი მანამდე ორი მატჩით იყო დისკვალიფიცირებული. გაიხარა კამპუშმა, მაგრამ მისი სიხარული მაშინ გენახათ, როცა გაიგო, რომ „დილამ“ „დინამოსთან“ ვერ მოიგო.

ზეექვსეულისთვის მებრძოლი ქუთაისელები თამაშის შემდეგ კონკურენტი გუნდების შედეგებს რომ კითხულობდნენ, „თბილისის“ და „დილას“ დაკარგული ქულები ესიამოვნათ, „ლოკომოტივის“ და „ბათუმის“ მოგებებმა კი ჩააფიქრა.

ჩანდა, კამპუშსაც უსიამოვნო ფიქრები მიეძალა, მაგრამ მაინც იმედი დაიტოვა, რომ დაშავებული ანდრი პოროშინის ტრავმა სერიოზული არ იქნება.

თავად ანდრიმ კი, რომელმაც კოჭლობით დატოვა მინდორი და ტკივილი არც მერე განელებია, გულდაწყვეტით გვითხრა, ნატკენმა მუხლმა ისევ შემახსენა თავი, მგონი, სერიოზულადაა საქმე და აწი როდის ვითამაშებ, არ ვიცი.

„მცხეთაზე“ რა ვთქვათ? მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა გია ყაჩლავაშვილმა ალბათ მთელი გუნდის სათქმელი გვითხრა, ვლადიმერ გუცაევის დაბრუნებას ველით, მაშინ კი გვეშველება და ყველაფერს ვიღონებთ, რათა ლიგიდან არ გავვარდეთო.

და ერთიც. „ტორპედოს“ გუშინ ყოფილმა ტორპედოელმა ვალერი აბრამიძემაც უქომაგა. სამშობლოში შეებულებით მყოფმა ჯერაც მოსკოვის სპარტაკელმა თამაშამდეც მოიკითხა მეგობრები, მერე კი ყველას მიულოცა გამარჯვება.

მცხეთა. 3 დეკემბერი. 14 საათი. არმაზი. 200 (ტევადობა 3 000)

მცხეთა 1:5 ტორპედო

0:1 პოროშინი (17), 0:2 კვეტენაძე (69), 0:3 დარსაძე (74), 1:3 პარამონოვი (76), 1:4 დარსაძე (77), 1:5 ნერგაძე (89)

მცხეთა: თ. ოდიკაძე, ლ. ამბიძე (კირვალიძე 46), ჯაფარიძე, ჩაჩუა, რაქვიაშვილი, ჯ. სიამაშვილი, ლ. ჩხაიძე, ავალიანი, ბ. ნოზაძე (სუბელიანი 46), ჩიღვინაძე (ზელიქია 68), პარამონოვი

სათადარიგონი: ცინაძე; ჩიტაური, კახნიაშვილი, გვენცაძე

მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი

ტორპედო: სტურუა, ლ. ჭელიძე, ხვადაგიანი (ნ. ნადირაძე 84), მახვილაძე, ნერგაძე, გ. ჩხეტიანი (კვეტენაძე 46), გამეზარდაშვილი, ს. თოდუა, ბაბუნაშვილი, ზვ. ქუთათელაძე, პოროშინი (გ. დარსაძე 29)

სათადარიგონი: სომხიშვილი; ლალაძე, მუშკუდიანი, გ. გოგოლაძე

მწვრთნელი: ჟოაო კამპუში

გაფრთხილება: რაქვიაშვილი (25)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე (თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. მალაღურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი; **დირექტორი:** ნ. კაკულია

ჯარიმა: 24-13; **კუთხური:** 3-2; **კარისკენ დარტყმა:** 3-3; **კარში დარტყმა:** 4-3; **თამაშგარე** 2-0

ქუთაისელთა ბრაზილიელი მწვრთნელები ქართულად ალაპარაკდნენ

ოზურგეთი. 3 დეკემბერი. 14 საათი. ცენტრალური. 500 (ტევადობა 8 000)

მერცხალი 1:2 ლოკომოტივი

0:1 სოსელია (50), 1:1 სიამაშვილი (52), 1:2 ვაშაკიძე (74)

მერცხალი: გია გოგუა, ჭალიაშვილი, გ. ილურიძე (დ. მარგალიტაძე 76), ჭინჭარაული, გ. წივწივაძე, ბართია (ჩიჩუა 53), დ. სიამაშვილი, შეგონია, კალანდაძე, ასკურავა, ხუჭუა
სათადარიგონი: ოთიძე, ხამაშურიძე, ცეცლაძე, ა. გიგეია, მაღლაფელიძე
მწვრთნელი: ალაკა ითუაშვილი

ლოკომოტივი: ხაჩირაშვილი, უგრეხელიძე, ვაშაკიძე, ლ. სალუქვაძე, ორბელაძე, სიჭინავა, ქემოკლიძე, რ. ონიანი, სოსელია, სირაძე, ნანა (მიქაძე 46)
სათადარიგონი: ბოდოკია, ძამსაშვილი, გ. ონიანი, სანიკიძე, ხოფერია, კობანიძე
მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი

გაფრთხილება: სირაძე (29), ჭინჭარაული (40)

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ცირდავა (ტულრიფში), ზ. ჯეარიძე (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; **დირექტორი:** გ. სორდია

ჯარიმა: 7-20, **კუთხური:** 3-5, **კარისკენ დარტყმა:** 0-5, **კარში დარტყმა:** 2-0, **თამაშგარე:** 2-9

ოზურგეთში რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა

გოჩა ჯანაშია ოზურგეთიდან

როგორც ჩანს, „მერცხალი“ და მოგება ერთმანეთთან კვლავაც მწყრალად არიან. ჰოდა, მოუგებელმა სერიამ ოზურგეთელი ქომაგობა ისე აღაშფოთა, ერთგვარი რევოლუციური სიტუაციის შექმნა მოიწადინა გუშინდელი მატჩის მსვლელობისას და მისი დასრულების შემდეგაც.

აღშფოთება გასაგებია, მაგრამ მსაჯებზე ჯოხის გადატეხვა მთლად მართებული არ უნდა იყოს. რა თქმა უნდა, მსაჯობა ჩვენში უშეცდომო და უმწიკვლო არაა, გამონაკლისი არც ოზურგეთში იყო: ამ მატჩშიც შეიძლებოდა, კაცს ალექსანდრე შილაკაძისა და კომპანიის შეცდომები შეემჩნია. მაგრამ ისიც ხომ ნათელია, რომ თავად გურულ კლუბშია ცუდი სიტუაცია. ჰოდა, მსაჯებზე მეტად ხალხს „მერცხალის“ შინა ამბებისთვის მართებს ყურადღების მიქცევა.

გუშინ უეჭველი სამი ქულისთვის სტუმრობდა გურიას „ლოკომოტივი“. აკი მიაღწია საწადელს, თუმც საკმაოდ ცუდი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა.

თავად „მერცხალზე“ კი, აბა, რა ვთქვათ. ფაქტობრივად, ეპიზოდურად თუ შეამჩნევდით, მასპინძლებს მოგების სურვილი რომ გააჩნდათ. ასე იყო პირველ ტაიმშიც და ასე იყო შემდეგაც, რაც ანგარში გაათანაბრეს და წესით მოსაგებადაც უნდა გაწეულიყვნენ.

პირველი ტაიმი საკმაოდ უხეირო საცქერი გამოდგა. უთავბოლო და ქაოტურ თამაშში სტუმართა მეტი მონდომება ჩანდა. მხოლოდ შუა ტაიმის ხუთწუთიან მონაკვეთში გამოცოცხლდა ბურთაობა. ჯერ იყო და, კალანდაძის პასით ხუჭუა ორმცველშუა გაძვრა; დასარტყმელად ხეირიანი პოზიციაც გააჩნდა, მაგრამ სალუქვაძესთან ბრძოლისას საჯარიმოში დაეცა. შილაკაძემ, არ გაგივა ეს ნომერი დავით ხუჭუაო, გაიფიქრა და რეაგირების გარეშე დატოვა ეს ეპიზოდი.

ორიოდ წუთში სტუმრები ორბელაძემ იხსნა, რომელმაც ცარიელი კარიდან გამოიტანა კალანდაძის მიერ შორეულ ცხრიანში მიმართული ბურთი.

განახლებულზე „ლოკომოტივი“ უფრო აქტიურად ათამაშდა, მეტოქე კი მოდუნებული ჩანდა. ზედიზედ ორჯერ დაჯარიმდნენ გურულები საჯარიმოს წინა ხაზის სიახლოვეს. პირველად დარტყმული გოგუამ სიჭინავას აუღო. კუთხურიდან ჩაწოდებულს სირაძემ თავი შეაგება და ამ ჯერზე ცარიელი კარი წივწივაძემ იხსნა.

50-ე წუთზე კი ჯარიმის დარტყმა სოსელიამ ითავა. მან ცოცხალ კედელს ბურთი გადაავლო და გოგუას კარშიც ჩასვა.

მაყურებელი ამ გოლმა გააცეცხლა და გინების კორიანტელიც დადგა ტრიბუნებზე. ვის არ აგინებდნენ, მსაჯებს, ინსპექტორ-დირექტორს, ფედერაციას და თვით უფასაც კი. ბედად, „მერცხალმა“ მალე გააყაიმა. ჯარიმა ბართიამ დაარტყა. დაბალი ბურთი ზედ ცხვირწინ აუსხლტა ხაჩირაშვილს და ხელების მაგივრად მკერდზე მოხვდა, გადმოვარდნილი კი სიამაშვილმა კარში გადაგზავნა.

ამ გოლს წესით ოზურგეთელები უნდა გეაქტიურებინა, მაგრამ არაფერი მსგავსი. სტუმრებსაც არ ჩამოუკრეფიათ ციდან ვარსკვლავები, თუმცა უპირატესობა მაინც საგრძნობი გაიხადეს. ჰოდა, ამას ლოგიკური გოლიც მოჰყვა. სოსელიას ჩაწოდებულ კუთხურს მიქაძემ თავი წაარტყა და კარის წინ მდგარ ვაშაკიძეს კარში დარტყმის საშუალებაც მიეცა. პირველ ჯერზე მან გოგუას გაარტყა, მეორედ კი გატანა მოახერხა და ორიოდ წუთში მონასტერიც აირია.

„ჯუნგლებიდან“ ხალხი მინდორზე შესასვლელი კარისკენ გაემართა და რამდენიმე მოედანზეც შეიჭრა. იქვე ახლოს მდგარი თანამსაჯი ჯეარიძე უცილობელ გალახვას „მერცხალის“ ფეხბურთელებმა და პოლიციელებმა გადაარჩინეს. მატჩი რამდენიმე წუთით შეწყდა, შემდეგ განახლდა, მაგრამ ფეხბურთელებს თამაშის ხალისი უკვე დაკარგული ჰქონდათ.

ვაშაკიძის გოლამდე ხუჭუას დარტყმულს საჯარიმოში სალუქვაძე გადაელობა. თითქოს ბურთი ხელზეც მოხვდა. ხალხი პენალტს ითხოვდა. თამაშის დასრულების შემდეგ აღგილობრივი ტელევიზიის თანამშრომლებმა ფირი დაატრიალეს და გოლის გატანის მომენტში ვაშაკიძის ხელით თამაშიც შენიშნეს. გაავებული ხალხი კი ნამატჩევს მსაჯების გალახვას ცდილობდა და პოლიციას საქმე გაუჩნდა.



ზურაბ ჯაფარიძე პრემიებს ტრიბუნიდან არიგებს

ბაბრი ძმითლაძის ფოტო

დავით თავართქილაძე ბოლნისიდან

ანგარიშმა არ მოგატყუოთ — „კოლხეთი“ ბეჩავ გუნდს ნაღდად არ ჰგავდა და პირველ ტაიმში „სიონის“ კარის ხარიხის ოდნავ ქვემოთ რომ დაემიზნებინა ბურთები, ვინძლო ხელდამშვენებულიც წასულიყო შინ.

ბოლნისელთაგან მატჩის დასაწყისში გიორგი შენგელია გამოირჩა — მან ჯერ ალექსანდრე კოშკაძეს შეუქმნა საგოლე შანსი, მერე ბორის გონჩაროვს, მაგრამ მათ დამაგვირგვინებელი დარტყმა არ გამოუვიდათ. კოშკაძეს ერთხელაც ჰქონდა გატანის შესაძლებლობა, მაგრამ თავურით ვერ იზუსტა.

ახლა სტუმართა მომენტებზეც ვთქვათ — მიხეილ თაყაძის ნაკუთრურალ ბურთს თავი ღონღაძემ დაუხვედრა და ხარიხას შეაწყვიტა ის. შემდეგ ქუტიძის პასით კრასოვსკი თემურ ვოლკოვთან პირისპირ გავიდა, მინდვრიდან არეკნილი ბურთი თავზეც გადაუგდო, მაგრამ ზედ ხარიხას დაასვა.

ერთი სიტყვით, პირველ ტაიმში კარგი, თვალსასეირო ფეხბურთი გაჩაღდა, ჩამოთვლილის გარდა მწვავე ეპიზოდები სხვაც იყო და „სიონის“ ასეთი ანგარიშით გამარჯვება ძნელად საპროგნოზო გახლდათ.

მაგრამ, შესვენების შემდეგ ფაქტობრივად ერთი გუნდი უტევდა. ფხიზლობდა ზურაბ ბათიაშვილი, ვინც აქვსენტი გილაურის, შალვა ისიანის და იური გაბისკირიას დაარტყმები გააუნეველა. თუმც „კოლხეთი“ მაინც გატყდა — ისიანის გრძივი პასის შემდეგ გონჩაროვმა მოხდენილად გაუთამაშა კედელი

რაც ოქრო და ფული მაქვს, გონჩაროვზე ჩავდივარ

ბოლნისი. 3 დეკემბერი. 14 საათი. თამაზ სტეფანია. 500 (ტევადობა 4 000)

სიონი 3:0 კოლხეთი

1:0 კოშკაძე (65), 2:3, 3:0 გონჩაროვი (81, 90)

სიონი: ვოლკოვი, ბაქრაძე, ჭიჭვეიშვილი, ხუჯაძე, გილაური, გაბიდაური, კოშკაძე, გაბისკირია (დარსანია 84), ისიანი (ფანულიძე 78), გონჩაროვი, გ. შენგელია (დაუშვილი 87)
სათადარიგონი: ავ. ლაბაძე; კვეკვესკირი
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

კოლხეთი: ბათიაშვილი, ქუტიძე, ღონღაძე, თაყაძე (სვანაძე 87), მინდაძე, მ. ქობულაძე, ჯ. შალამბერიძე, ღაღანიძე, დ. ნარსია (კრასოვსკი 20), მ. მარგალიტაძე, ტულუში (მალანია 46)
სათადარიგონი: მიქავა; გ. ტყებუჩავა
მწვრთნელი: გია ტყებუჩავა

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ი. აფციაური (დუშეთი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); მ. მაისურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე; **დირექტორი:** შ. ბაქრაძე

ჯარიმა: 6-8, **კუთხური:** 7-3, **კარისკენ დარტყმა:** 6-4, **კარში დარტყმა:** 5-3, **თამაშგარე:** 1-1

კოშკაძეს, ვისთვისაც ხელი არავის შეუშლია და 1:0.

კოშკაძეს მალევე მიეცა დუბლის შანსი, თუმც ძალიან ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა „კოლხეთის“ კარს. ფოთელებს კი შეტევაში აღარაფერი გამოსდიოდათ. ერთი ეგ იყო, კრასოვსკიმ სახიფათოდ გაგზავნა ბურთი ვოლკოვის კარის გასწვრივ, მაგრამ ფეხის დამხვედრებელი სტუმართაგან იქ არავინ აღმოჩნდა.

მატჩის მიწურულს გონჩაროვის ჯერი დადგა. „სიონის“ მეპატრონე ზურაბ ჯაფარიძე მას ტრიბუნიდან აგულიანებდა, გატანილ გოლზე პრემიას ჰპირდებოდა. კოშკაძის პასით ბოლნისელთა მეგოლე მარჯვნიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და ღონივრად, საგოლედ მოუქნია ბურთს ფეხი. ბოლო წუთზე კი გონჩაროვმა იმავ კოშკაძის ფლანგურ ჩაწოდებულს დაუხვედრა ფეხი და ჯაფარიძისგან ხუთასლარიანი პრემიაც მიიღო. დამთავრებამდე წამებიღა რჩებოდა, როცა ჯაფარიძემ გოლდამშენს გასძახა, ერთიც და ათასი ლარიო, მაგრამ ავთანდილ ორდინაძემ ამდენი აღარ აცალა გონჩაროვს და დამთავრებისა ჩასტვინა.

გია ტყებუჩავა: სანახაობრივი, ცოცხალი თამაში იყო. კლუბში სასიკეთო ძვრებია — პრეზიდენტი შეგვპირდა, რომ ახალი წლიდან ყველანაირი ფინანსური პრობლემა მოგვარდება. ახლა ფაქტობრივად უთავდამსხმელოდ ვართ, მაგრამ გაისად ყველაფერი უკეთ იქნება.

ოთარ გაბელია: მატჩი ცუდად დავიწყეთ და მეტოქეს გოლი რომ გაეტანა, ვინ იცის, რა მოხდებოდა. ბოლო მატჩებში საქართველოში დატრიალებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ჩვენს ფეხბურთელებზე უარყოფითად იმოქმედა — გაურკვეველი იყო, ვის დარჩებოდა „სიონი“. თუმც ახლა ამბობენ, რომ ყველაფერი ნორმალურად იქნებაო. გულშემატკივარი არავის აპატიებს გუნდის დაშლას. რაც შეეხება ვალტერ გუჩუას, ის სამატჩო განაცხადში იმიტომ არ შევიყვანეთ, რომ გუნდი თვითნებურად დატოვა ირანში წასასვლელად, მერე კი უკან დაბრუნდა და ჩვენთან ვარჯიშობდა.

დინამო	21	14	5	2	44:8	47
სიონი	21	11	7	3	31:16	40
ვიტ ჯორჯია	21	11	6	4	36:15	39
ლოკომოტივი	21	10	4	7	32:23	34
დილა	21	10	4	7	28:19	34
ბათუმი	21	10	2	9	26:23	32
თბილისი	21	9	5	7	40:26	32
ტორპედო	21	9	4	8	26:24	31
კოლხეთი	21	6	3	12	15:33	21
მცხეთა	21	6	2	13	23:52	20
სპარტაკი	21	3	4	14	12:47	13
მერცხალი	21	2	4	15	18:43	10

გუშინდელი დუბლით და 15 გოლით ბორის გონჩაროვი ბომბარდირებში გალიდერდა

ოთარ ფალავანდიშვილის ფოტო

გეორგიელები ელადაში
გუგუშვილმა საქმე დაიწყო

ბადრი ჯეფლაძის ფოტო

ალეკო გოგობერიძეს „იანინაში" ელიან

გუშინ ბერძნული „იანინას" მწვრთნელად დაინიშნა ელგუჯა გუგუშვილი და ახლა უკვე მისი საქმეა, რომელი ქართველი ფეხბურთელი წაიყვანოს საბერძნეთში

შეგახსენებთ, „იანინა" ახლახან ქართველმა ბიზნესმენმა ჯონი გიგანმა იყიდა და თქვა, ქართველი მწვრთნელ-ფეხბურთელების საბერძნეთში წაყვანას ვაპირებო. გიგანმა საამსაქმო პირველი ნაბიჯი გუშინ გადადგა და თავისი ძველი მეგობარი ელგუჯა გუგუშვილი მწვრთნელობაზე დაითანხმა.

ახლა კი ჯერი ფეხბურთელებზეა. დღეს-ხვალ საბოლოოდ უნდა გადაწყდეს თბილისის „დინამოს" ნახევარმცველის ალეკო გოგობერიშვილისა და ტორპედოელი გიორგი ყიფიანის „იანინაში" გადასვლის საკითხი. როგორც კლუბის მენეჯერმა დავით ქარაულმა გვითხრა, ეს ფეხბურთელები თანახმანი არიან, „იანინაში" ითამაშონ, თუმც მათ რამდენიმე სხვა გუნდიც ეპატიჟება. ამიტომაც ფეხბურთელები საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ და „იანინას" ხელმძღვანელობას პასუხს კვირის ბოლოსთვის ეტყვიან. ყიფიანისა და გოგობერიშვილის გარდა გუგუშვილს კიდევ რამდენიმე ქართველი სურს წაიყვანოს, მაგრამ ვიდრე ის ბერძნულ გუნდს არ შეხვდება, იქამდე მოცდას ამჯობინებს. როცა მწვრთნელი გაერკვევა „იანინას" ძველი შემადგენლობის შესაძლებლობებში, სასურველ ფეხბურთელთა ჩამონათვალს უფროსობას მაშინ მისცემს.

ბოლოს კი გეტყვით, რომ ელგუჯა გუგუშვილი პირველი ქართველი მწვრთნელია, რომელიც უცხოურ კლუბსა და ნაკრებს წვრთნიდა. ის თურქმენეთის ნაკრებისა და იქაური „კოპეტდაღის" თავკაცი იყო. თავის დროზე გუგუშვილი საქართველოს უმაღლეს ლიგაში მოთამაშე „მორკინალს" წვრთნიდა, რომლის პატრონიც სწორედ ჯონი გიგანი იყო. გუგუშვილი საქართველოს ახალგაზრდულ გუნდში შოთა ჭეიშვილის თანაშემწედაც მუშაობდა.

ძოგა ინასარიძე

ხიზანეიშვილის ბედი: აქაც დინამო, იქაც დინამო

თბილისის „დინამოს" მცველმა ოთარ ხიზანეიშვილმა გუშინ გორში ათი წუთი ითამაშა, დღეს კი მოსკოვს გაფრინდა — მან გუნდი დატოვა. ხიზანეიშვილს მოსკოვური „დინამოდან" თბილისისაში განათხოვრების ორწლიანი ვადა ამოეწურა და რუსმაც თავისთან უხმო.

მოსკოვის „დინამოს" ახლახან მწვრთნელი შეეცვალა. პროკოპენკოს ნაცვლად გუნდის თავკაცად ჩეხი იაროსლავ ჰრებეკი დაინიშნა. ახალ მწვრთნელს კი, ბუნებრივია, გუნდის ყველა ფეხბურთელის შეკრება და მათ შესაძლებლობებში გარკვევა სურს. ხიზანეიშვილი ხვალიდან სწორედ ჰრებეკის განკარგულებაში იქნება. თბილისისა და მოსკოვის დინამოელებს შორის მოლაპარაკება ხიზანეიშვილის ნათხოვრობის ვადის გაგრძელებაზე არც კი ყოფილა. ისიც სათქმელია, რომ თბილისში დარჩენა აღარც ფეხბურთელს სურს.

მოსკოვში ჩასული ოთარ ხიზანეიშვილი ახალ მწვრთნელს და კლუბის ხელმძღვანელებს შეხვდება და როგორც თავის გუნდში, იქ ისე იქნება.



ბადრი ჯეფლაძის ფოტო

შეხვდება თუ არა მომავალ სეზონს ქართველი მცველი მოსკოვის „დინამოში", ამას ჰრებეკი გადაწყვეტს. თავად ხიზანეიშვილის თქმით, რომელსაც გუშინ გამოვკითხეთ ეს ამბავი, შესაძლოა, რუსებმა ის შვეიცარიის ერთ-ერთ გუნდშიც გაუშვან, გააჩნია, ისურვებს თუ არა ჩეხი მწვრთნელი ქართველის სამსახურს.

ძოგა ინასარიძე

უფროს ლეიტენანტ გოდერძი ნატროშვილზე ეგებ არც არაფერი გსმენიათ, მაგრამ „გოდოლა" ქართულ საფეხბურთო წრეში ცნობილი სახელია.

ეს ის „გოდოლაა", ელგუჯა გუგუშვილმა დიდ ფეხბურთს რომ აზიარა და შემდეგ რვა წელი კვიპროსის და საბერძნეთის უმაღლეს ლიგებში მარჯვედ ბურთაობდა.

გოდერძი ნატროშვილი დღესდღეობით საბაჟო კრიმინალური ოპერატიული სამსახურის შიდა ქართლის განყოფილების უფროსია, თუმც მის თანამდებობაზე მალე ალბათ ვაკანსია იქნება. ფეხბურთის გულისთვის რას არ დათმობს კაცი...

დანარჩენზე ქვემოთ. გოდერძი ნატროშვილი გუშინ „სარბიელის" სტუმარი იყო



ეროვნული ბიბლიოთეკ

ბადრი ჯეფლაძის ფოტო

გოდოლას გოდოლი ფეხბურთია
ნატროშვილმა იანინა ჯერ გააგდო, ახლა უნდა ააგდოს

— ალბათ დღესაც ახსოვთ თქვენს მეგობრებს შესუქებული „გოდოლა" მინი-ფეხბურთში რომ აგორებდა ბურთს ათიოდე წლის წინ. მაშინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, დიდ ფეხბურთს თუ ითამაშებდით...

— მართლაც ასე იყო. დარბაზში ვახარებდი ჩემს საფეხბურთო ჭიას. ერთ-ერთი თამაშის შემდეგ ელგუჯა გუგუშვილმა დამადგა თვალი, მოვეწონე და „ზოოვეტში" მიმიწვია. მალე „მორკინალი" შეიქმნა ჯონი გიგანის მცდელობით და მეც ამ გუნდში აღმოვჩნდი. მთლიანად გუგუშვილის დამსახურებაა ჩემი საფეხბურთო კარიერა.

— კვიპროსზე როგორ აღმოჩნდით?

— იქაურ „ომონიაში" ჩემი ბავშვობის მეგობარი და ბავშვის ნათლია დავით ყიზილაშვილი თამაშობდა, მისი მიწვევით ჩავედი კვიპროსზე. ყიზილაშვილმა იქ საფეხბურთო მენეჯერი კამბოს კონსტანტინიდისი გამაცნო. ამ კაცმა შვილივით მიმიღო და კვიპროსულ გუნდებში გასინჯვის საშუალება მომცა. ლიმასოლის „აპეპს" მოვეწონე და ერთწლიანი კონტრაქტი გამიფორმა. პირველივე თამაშში ოთხი გოლი გავიტანე. მოკლედ, დებიუტშივე გამიმართლა და ნელ-ნელა აეწყო ჩემი საქმე. მომდევნო სეზონში „აპეპზე" სოლიდურმა და ამბიციურმა გუნდმა „ანაგენისმა" მიმიწვია. მალე ბომბარდირიც გავხდი. თითქმის ყველა მატჩში გამქონდა გოლი, იქაური სპორტული მედია ლამის ყოველდღე წერდა ჩემზე და ერთ დღეს შოკისმომგვრელი წინადადება მიეღე — ბერძნული აეკ-ი მიწვევდა.

— აეკ-ში მაშინ თემურ ქეცბაია-ც თამაშობდა, ალბთ მანაც შეგაწიათ სიტყვა.

— ბუნებრივია, თემური თავისას ეცდებოდა, მაგრამ ასეთი დონის კლუბებში მხოლოდ ფეხბურთელის რეკომენდაციით არ აჰყავთ ხალხი. ჩავედი ათენში, შეხვდი კლუბის ხელმძღვანელებს და ორი საკონტროლო მატჩი ვითამაშე. მწვრთნელს პეტროს რაგუსისს მოვეწონე, შეეთანხმდით, რომ სეზონის ბოლომდე დარჩენილ 4 ტურში კვლავაც კვიპროსზე ვითამაშებდი და შემდეგ კონტრაქტს გავაფორმებდით. გადმოვფრინდი ბედნიერი კვიპროსზე, თანაგუნდელები წარმატებას მილოცავდნენ და რომ არ ველოდი, ისეთი რამ მოხდა. აეკ-მა მიჯრით წააგო ორი მატჩი და პეტროს რაგუსისი გუნდიდან გაუშვეს, მისმა შემცვლელმა რუმინელმა დიმიტრუ დიმიტრიუმ, სხვები არ მჭირდებიანო და თანამემამულეებით გაავსო გუნდი.

— თუმც საბერძნეთში გადასვლამ მაინც მოგიწიათ. „პანახაიკში" როგორ აღმოჩნდით?

— ჩემი აეკ-ში გადასვლა რომ ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, ბერძნულ პრესაშიც აღინიშნა. როგორც კი ეს ამბავი ჩაიშალა, მაშინვე დამიკავშირდა „პანახაიკი". გუნდი პირველი ლიგიდან უმაღლესში გადასვლას ლამობდა. მეც უყოყმანოდ გავაფორმე კონტრაქტი და მომდევნო სეზონში უკვე უმაღლეს ლიგაში ვთამაშობდი ისეთი ფეხბურთელების წინააღმდეგ, ჯოვანი, ზე ელიანი, სოუზა, მიუკლანდი და ნინიადისი რომ არიან. ანდროს საქართველოდან ვიცნობდი, ჩვენი მეგობრობა საბერძნეთში უფრო განმტკიცდა.

„პანახაიკში" 4 წელი ვითამაშე, სულ 50-მდე გოლი გავიტანე, ერთხელ ინტერტოტოს თასზეც გავედით და მესამე წრეში „ლოკერენთან" დავმარცხდით.

— ვიცი, რომ ტრავმამ ჩამოგაშორათ ფეხბურთს...

— ამხანაგური მატჩი გვქონდა. გული ცუდს მიგრძნობდა და მწვრთნელს ვთხოვე, არ მთამაშო-მეთქი. მითხრა, ერთი ტაიმი მაინც გადი მოედანზეო, გავედი და მუხლის მყესები გამიწყდა. მძიმე ოპერაცია გამიკეთა პროფესორმა ალექსის მეცუმ. ეს კაცი დღეს „პანათინაიკოსის" პრეზიდენტია. ოთხი თვე თაბაშირში მქონდა ფეხი და ფეხბურთზე ხელი ჩავიქნიე.

— თუმც ამის შემდეგ „კალამატაშიც" თამაშობდით...

— ეს გუნდი პირველი ლიგიდან ვარდებოდა და მე და ბუბა ტყავაძემ გავარდნას გადავარჩინეთ. მაგრამ ვერც კი წარმოიდგენთ, ისეთ მდგომარეობაში მიხდებოდა თამაში, ხელოვნურ მყესებიან მუხლს, ფაქტობრივად, ვერ ვხრიდი. გამიჭირდა ფეხბურთთან განშორება, მაგრამ თბილისში ჩამოვედი და სხვა საქმეს ვეწიე.

— როგორც ჩანს, უფეხბურთოდ ყოფნა დიდხანს არ მოგიწევთ, ჯონი გიგანმა ბერძნული „იანინა" იყიდა, მწვრთნელად ელგუჯა გუგუშვილი მიიწვია, მან კი თანაშემწეობა გთხოვათ.

— დიახ, ასეა. ამ წინადადებაზე უარს ვერ ვიტყვი, ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთით უნდა ვიცხოვრო.

— ასე ადვილად შეელევით იმ თანამდებობას, დღეს რომ გიკავიათ?

— ყველა თანამდებობაზე მნიშვნელოვანი კაცობაა. გუგუშვილმა მაქცია ფეხბურთელად, ჯონი გიგანი კი, როცა მიჭირდა, ყოველთვის კაცურად მედგა გვერდში მორალურად და მატერიალურად. უფლებაც არ მაქვს, მათ გვერდით არ დავდგე, თანაც ხომ გითხარით, უფეხბურთოდ აზრი არა აქვს ჩემს ცხოვრებას.

— „იანინა" ნაცნობი გუნდია თქვენთვის, მის წინააღმდეგ არაერთხელ გითამაშიათ.

— სხვათა შორის, 2001 წელს „იანინა" უმაღლესი ლიგიდან ფაქტობრივად ჩემმა გოლმა გააგდო. საშინაო მატჩში 0:1-ს ვაგებდით მასთან მაგრამ ჯერ აფრიკელმა სებვემ გაათანაბრა, თამაშის დამთავრებამდე ათიოდე წუთით ადრე კი გამარჯვების გოლი გავიტანე და „იანინაც" დაემშვიდობა უმაღლეს ლიგას. ახლა იმ „შეცდომის" გამოსწორების შანსი მაქვს, იმედია, „იანინას" აღმასვლაში ჩემს წილს დავიდებ.

პაატა ძმანტალიანი

სურათი გოდერძი ნატროშვილის ბერძნული კარიერიდან

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. V ტურის გადადებული მატჩი

დორტმუნდი სტამბოლზე სტამბოლი გამოდგა

REUTERS დორტმუნდიდან

ჰაქან შუქური ანტონიო კომენტის ბულასავით მიუხტა

REUTERS დორტმუნდიდან

მარკო დი ვაიომ ისეთი მომენტები გაანიავა, თავადაც უკვირდა

გალათასარაი 2:0 იუვენტუსი

1:0, 2:0 ჰაქან შუქური (47, 90)

გალათასარაი: მონდრაგონი, პრატესი (ჰასან შაში 45), ორჰანი, ფ. დე ბური (ბიულენთი 84), ჰაქან უნსალი, საბრი, ტამაში, პეტრე, ერგუნი, ჰაქან შუქური (ჯიჰანი 90), გიოქთანი

მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი

იუვენტუსი: კომენტი, ტუდორი, ფერარა, იულიანო (აპია 75), პესტოტო, ზალაიეტა, კონტე (კამორანეზი 86), დავიდსი, მარესკა, დი ვაიო, მიკოლი

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

გაფრთხილება: ზალაიეტა, კონტე, პეტრე, დი ვაიო, მარესკა, ჰასან შაში, დავიდსი

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

70 000 მაყურებელი

„გალათასარაის“ მწვრთნელისთვის, ფათიჰ თერიმისთვის ცხადზე უცხადესია, რომ „იუვენტუსის“ დამარცხებისთვის ძალიან დიდი მადლობა ქომაგებს უნდა გადაუხადოს. მოგეხსენებათ, ეს მატჩი ერთი კვირის წინ სტამბოლში უნდა გამართულიყო, მაგრამ თურქეთის დედაქალაქში მომხდარი ტერაქტების გამო უეფამ ის დორტმუნდში გადაიტანა. ერთი სიტყვით, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ „გალათასარაის“ არ გაუმართლა და საშინაო მატჩი ნეიტრალურ მოედანზე გადაუდეს, მაგრამ ოურმე ნუ იტყვით და, გერმანიაში იმაზე მეტი თურქი ცხოვრობს, ვიდრე უეფას ჰგონია. დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე“ ღრიანცელმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „გალათასარაის“ ქომაგები ჰაქან შუქურის გოლებსა და მეკარე ფარიდ მონდრაგონის დიდებულ თამაშს სრული აღფრთოვანებით ხვდებოდნენ.

„დღევანდელ შედეგში უდიადესი როლი ხალხმა ითამაშა — თქვა თერიმმა — ჩვენთვის ეს მატჩი უძნელესი უპირველეს ყოვლისა იმიტომ გახლდათ, რომ მისი თურქეთში ჩატარების ნება არ დაგვრთეს, მაგრამ ქომაგებმა სიამაყის საბაბი მოგვცეს. ჩვენ მათ წარსულში დიდი ზეიმი ვაჩუქეთ და დღეს მათგან სრულფასოვანი დაფასება ვნახეთ. უნდა ვაღიარო, რომ ატმოსფერო აქ, დორტმუნდში, გაცილებით ჯობდა იმ ატმოსფეროს, რომელიც წინა მატჩებში, სტამბოლში გვქონდა“.

შეგახსენებთ, რომ თერიმის გუნდს მეორე ადგილზე მყოფი „რეალ სოსიედადის“ წამოსაწევად აუცილებელი გამარჯვება სჭირდებოდა. ახლა „გალათასარაი“ სწორედ ესპანეთში მიდის გადამწყვეტი შეხვედრის ჩასატარებლად და ვინ იცის, იქ რა მოხდება, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ „იუვენტუსს“ ამ შეხვედრაში არც მოტივაცია ჰქონდა და არც ძირითადი შემადგენლობა ჰყავდა.

„მინდა ჩემს ფეხბურთელებს თავდადებისთვის დიდი მადლობა გადავუხადო — განაგრძო თერიმმა — ვფიქრობ, პირველ ტაიმში ორივე გუნდი თანაბრად თამაშობდა, შესვენების შემდეგ კი უპირატესობას ჩვენ დავეუფლეთ და საჭირო გოლებიც გავიტანეთ. ამ მატჩის მოგება იმიტომაც იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რომ „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ახალგაზრდებს ვენდე და მათაც ნდობა გამიმართლეს. ამიერიდან ვიცი, რომ მომავლის იმედი უნდა მქონდეს“.

რაც შეეხება „იუვენტუსს“, მას ფრე პირველ ადგილს ოფიციალურად კი გაუფორმებდა, მაგრამ ამ ქულის აღებას მომდევნო ოთხშაბათს, შინ, „ოლიმპიაკოსთან“ შეხვედრაში შეეცდება და, სავარაუდოდ, შეძლებს კიდეც.

„პირველ ტაიმში უკეთესად ვთამაშობდით, ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით და ერთადერთი, რის გამოც აღშფოთება შემიძლია, ამ მომენტების ქარისთვის გატანაა. ერთი სიტყვით, მართალია, დავიდ ტრეზეგე, პაველ ნედვედი და ვანლუიჯი ბუფონი საჭირო ფეხბურთელები არიან, გუნდის თამაშით უკმაყოფილო მაინც არ დავრჩი. ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა კი აუცილებლად გვჭირდება, რადგან მერვედფინალში შეიძლება შედარებით სუსტი მოწინააღმდეგე შეგვხვდეს“ — განაცხადა „ბებერი ქალბატონის“ თავკაცმა მარჩელო ლიპიმ.

პაპუნა კედია

იუვენტუსი	5	3	1	1	8:6	10
სოსიედადი	5	2	2	1	7:7	8
გალათასარაი	5	2	0	3	5:7	6
ოლიმპიაკოსი	5	1	1	3	6:6	4

„იუვენტუსი“ გასულია მერვედფინალში

ბოლო ტური, 10 დეკემბერი

იუვენტუსი — ოლიმპიაკოსი

სოსიედადი — გალათასარაი

წადი, ნახე ტოიოტა!

ბოკამ არგენტინას ტევესი მოუგო

კარლოს ტევესი

„ბოკა ხუნიორსის“ თავდამსხმელს, არგენტინული ფეხბურთის კაშკაშა იმედს, კარლოს ტევესს საკონტინენტთაშორისო თასზე თამაშის უფლება მისცეს. შეგახსენებთ, რომ ამ თასს სხვანაირად ტოიოტას თასსაც ეძახიან, რომლის წლევანდელ ფინალშიც იაპონურ იოკოჰამაში ევროპის ჩემპიონთა ლიგის მომგები „მილანი“ და სამხრეთ ამერიკის ლიბერტადორესის თასის მფლობელი „ბოკა ხუნიორსი“ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

რაკი ვამბობთ, რომ ტევესს ტოიოტას თასზე თამაშის უფლება მისცეს, ეს ნიშნავს, რომ მას თამაშის უფლება ადრე ჩამორთმეული ჰქონდა. ამის თაობაზე ამასწინათ ვწერდით და გავიხსენოთ.

საამიროებში მიმდინარე ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე სხვებთან ერთად არგენტინის ნაკრებიც თამაშობს, ხოლო არგენტინის ნაკრებში სხვებთან ერთად 19 წლის კარლოს ტევესიც იყო გამოძახებული. მაგრამ „ბოკამ“ ფეხბურთელი საამიროებში არ გაუშვა და სიმართლე ვთქვათ, ტევესის სურვილიც ეგ იყო — იმხანად ფორვარდს ტრავმა ახალი მოშუშებული ჰქონდა, „ბოკა“ კი აპერტურას ჩემპიონობისთვის იბრძოდა.

ამის საპასუხოდ არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია „ბოკას“ დაემუქრა, თუ ტევესს ნაკრებში არ გაუშვებ, ფიფას ჩავრევ და ვერც ტოიოტას თასზე ათამაშებო.

აქ რამდენიმე გარემოებას გავუსვათ ხაზი. ერთი, რომ არგენტინაში კლუბებს ჩვეულებად აქვთ ფეხბურთელების ნაკრებში არგაშვება და ფედერაცია ცდილობს ამის აღსაკვეთად გადამჭრელი ზომები მიიღოს. მეორეც ის, რომ სამხრეთამერიკელთათვის ტოიოტას თასზე ევროპული გუნდის დამარცხება ძალიან ბევრს ნიშნავს და ამ მატჩისთვის სრული სერიოზულობით ემზადებიან. ერთი სიტყვით, კლუბის მხარდაჭერით ტევესმა ფედერაციას სასამართლოში უჩივლა და სარჩელი ასე ჩამოაყალიბა: ფედერაცია მუშაობას მაძალებს, მე კი როცა მინდა მაშინ ვიმუშავებო.

საბოლოოდ ფედერაციამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და საგანგებო სხდომაზე ის გადაწყვეტილება მიიღო, რომელზეც თავშივე მოგახსენეთ.

კოტე კეკელია

„ბუფ შალკეც“ თურქებით გაიკვლევა

მოსამართლემ ბეშიქთაში გელზენკირხენში გადააგდო

„ბეშიქთაშს“ ძალიან ეწადა „ჩელსის“ სტამბოლში, მშობლიურ „ინონუზე“ დახვედროდა, მეტოქე გიუმაჯი გულშემატკივრებით დაეფრთხო, მაგრამ ლოზანის სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში შეტანილი სარჩელი თურქებს არ დაუკმაყოფილეს. ლოზანელმა მოსამართლემ თქვა, ეს საქმე უეფას გადასაწყვეტია და ჩვენ მისი განაჩენის გაუქმების უფლება არ გვაქვსო, მით უმეტეს, სტამბოლში შექმნილი ვითარების გამო მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გამართვა უპრიანი იქნებაო.

მომავალ სამშაბათს „ბეშიქთაშ“ — „ჩელსის“ შეხვედრა გელზენკირხენში, „შალკეს“ სტადიონზე გაიმართება. თურქობა დორტმუნდში „გალათასარაის“ დაეხმარა და ოსმალო ქომაგები „შავი არწივის“ საგულშემატკივროდ ალბათ გელზენკირხენში ჩასვლასაც არ დაიზარებენ.

რომან თურქია



სენსი წავა და... ვინ მოვა?

ჯაჰელო ჰრსოს ასაჯმა დააფრთხო

„რომას“ პრეზიდენტი ფრანკო სენსი ამბობს, რომ თავისი სათაყვანებელი კლუბიდან წასასვლელად ემზადება. ბოლო დროს დაყრილი ჭორები, რომ სენსი „რომას“ ყიდის, როგორც ირკვევა, მართალია.

„ჩვენ დიადი კლუბი გვყავს და დეკემბერში მთელი რიგი საკითხების მოგვარებასაც ვაპირებ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კიდევ მრავალი წელიწადი ვერ ვიმუშავებ. „რომა“ ადრე თუ გვიან უნდა დავტოვო, ოღონდ მას მხოლოდ ღირსეულ ადამიანებს გადავაბარებ“ — განაცხადა ბიზნესმენმა.

ვის გადააბარებს სენსი კლუბს? „რომას“ შესაძლო მყიდველებად კლაუდიო ტოტის ან ანიელების ოჯახს ასახელებენ. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში დედაქალაქურ კლუბს სწორედ მათ სახელებს უკავშირებდნენ.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად „რომა“ სერია A-ს ლიდერია, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ზაფხულზე თავს ფინანსური პრობლემები იჩენს და წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვა გახდება საჭირო.

„არავინ წავა — ამშვიდებს სენსი ქომაგებს — მიუხედავად იმისა, რომ ერთი მართლაც აწარმოებს ჩვენთან მოლაპარაკებებს, მაგრამ მისი ამბავიც ჯერ უცნობია“.

ხმათა თანახმად ის ერთი ფეხბურთელი ემერსონია, სენსი კი განაგრძობს.

„ამწუთას ყველაფერი ძალიან კარგად მიდის, ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს. კივუ მსოფლიოს უძლიერესი მცველია, კასანო კი, ყველანი ხედავთ ვინც არის და მეც სწორედ ასეთი მომწონს“.

შეგახსენებთ აგრეთვე, რომ გასულ ზაფხულს სენსისა და მწვრთნელს, ფაბიო კაპელოს შორის კონფლიქტზე იწერებოდა ბევრი.

„კაპელოსთან დაკავშირებით ყველაფერი კარგადაა — ამბობს პრეზიდენტი — ხოლო ფრანკო ბალდინი უღალატო და დიდი სპორტული მენეჯერია“.

და მართლაც, ის, რომ კლუბში ყველაფერი რიგზეა, ცხრილითა და მუშაობის პროცესით მტკიცდება. მაგალითად, კაპელო თავისი უშუალო საქმეებითა დაკავებული და თვალი „მონაკოს“ ფორვარდ დადო პრსოზე უჭირავს.





დადო პრსოს ფაბიო კაპელომ დაადგა თვალი

„ის ჩინებულ ფორმაშია და უეჭველად იპყრობს ყურადღებას, მაგრამ არის ერთი პრობლემა, ახალგაზრდა აღარ არის“.

აღსანიშნავია, რომ ამ ხორვატმა მართლაც ბევრის ყურადღება მიიპყრო, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ 29 წლისა გახლავთ.

სწორედ პრსო გახლდათ ის ფეხბურთელი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მატჩში „დეპორტივო ლა კორუნიას“ ოთხი გოლი გაუტანა, ხოლო ევრო 2004-ის შესარჩევ პლეი ოფში სლოვენიელებს შეუგდო.

„მონაკოსთან“ პრსოს 2005 წელს უმთავრდება კონტრაქტი და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ ზაფხულს მისი გაყიდვით სათავადოს გუნდი დიდ ფულს იშოვნის, თუმცა შესაძლოა საქმე მანამდე არც მივიდეს: თუ „რომა“ „ვალენსიადან“ ნორვეგიელ იონ კარეუს საბოლოოდ ვერ დაიხსნის, მაშინ პრსოს შეიძენს.

აღსანიშნავია, რომ „რომაში“ თამაში სურს „ლეჩეს“ ურუგვაელ ფეხბურთელს, ხავიერ ჩევანტონისაც.

„კაპელო დიდი მწვრთნელია და მასთან სიამოვნებით ვიმუშავებდი“ — თქვა კაცმა, რომელმაც გასულ კვირას სწორედ „რომას“ გაუტანა გოლი.

პაპუნა კ ე დ ი ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივალდომ ყატარელ შეიხებს უარი შეუთვალა

ინგლისური, ინგლისური და ინგლისური

რივალდო ყატარულმა მილიონმა ვერ აცდუნა

რივალდოს შეძენა სამ ინგლისურ კლუბს მონდომებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრაზილიელის პრემიერლიგაში გამოჩენა მართლაც ძალიან რეალური საქმეა — მოგეხსენებათ, „მილანმა“ მსოფლიოს ჩემპიონი საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან გაანთავისუფლა და ამწუთას იგი უგუნდოდაა.

„ხუთშაბათს რივალდო ბრაზილიაში ჩავა და წინადადებებს იქ განიხილავს“ — განაცხადა მისმა მრჩეველმა ხორხე გამამ.

„ინგლისიდან სამი მიწვევა მივიღეთ — განაგრძო გამამ — და სადღეისოდ სულ ესაა, ვიცი, გაზეთებმა ყველაზე აქტიურად რივალდო „ლივერპულს“ დაუკავშირეს, მაგრამ გარწმუნებთ, ჩემს მიერ ნახსენებ სამ. კლუბს შორის სწორედ „ლივერპული“ არ არის. ვერ გეტყვით. საბოლოოდ რა გადაწყდება, მაგრამ ამჯერად მეტს ვერაფერს მოგახსენებთ“.

ცნობილია, რომ რივალდომ უკვე ხმამაღლა გამოხატა „ჩელსიში“ თამაშის სურვილი და აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მისთვის სასურველი ხელფასი მანჩესტერიც დიდი არჩევანის საშუალებას არ იძლევა.

ისევ გამა: „მილანური კონტრაქტით რივალდო მსოფლიოს ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელი გახლდათ. აქვე გეტყვით, რომ ყატარიდან თვეში მილიონს სთავაზობდნენ, მაგრამ უარი განაცხადა, ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ის ხელფასს კი არ ეძებს, ყველაზე სწორი გუნდის შერჩევას ცდილობს. ნუ დაგვავიწყდება, რომ რივალდო ფორმაშია. ის ჯერ კიდევ კარგა ხანს გამოადგება ბრაზილიის ნაკრებს“.

პაპუნა კ ე დ ი ა

ხეირი შეიხისგან

მომაკვდავ ლიდსს ხალიფა უნამლებს

ლიდსელ მოქალაქეთა თვალებში იმედის ნაპერწკალი გაკრთა — „ლიდს იუნაიტედს“ ეგებ რაღაც ეშველოს.

წინა კვირაში ლონდონის საფონდო ბირჟაზე ხმა გავარდა, ბაჰრეინელი შეიხი აბდულრაჰმან ალ ხალიფა ფულს გამოდის „ლიდსის“ გადასარჩენადო.

მაშინ ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა — ერთნი ამბობდნენ, ეს ხმები თავად კლუბის უფროსობამ დააგდო, რათა „ლიდსის“ აქციათა ფასი კიდევ უფრო არ დაცემულიყო. ამ ვარაუდს საფუძვლად ის ედო, რომ თავად შეიხი არაფერს ამბობდა. სამაგიეროდ, აი, რა თქვა „ლიდსის“ მავანმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა: „შეიხი ბლეფობს. თუ მართლა რამე ჩაუფიქრებია, სჯობს სიტყვას ფულიც მოაყოლოს.“

ერთი სიტყვით, წინა კვირაში ჭორებს იქით საქმე არ წასულა.

ახლა რაღაც-რაღაცეები ირკვევა. საიდანღაც გამოუჩხრეკიათ, აბდულრაჰმან ბარე 30 წელია „ლიდსს“ გულშემატკივრობს და ეგ რაა, „გრიმსბის“ არანაკლები ქომაგიც ყოფილაო.

ისე, გაგიკვირდება კაცს — ამხელა შეიხმა უკეთესი გუნდები როგორ ვერ არჩია სათაყვანებლად.

თუმცა ეს არ არის მთავარი. მთავარი ის გახლავთ, რომ აბდულრაჰმან ალ ხალიფასგან ფულების გამოსვლის ამბავი დასტურდება. თავად ბაჰრეინელებმა დაადასტურეს, ეგრეაო, რა უფლებით არ დავუჯეროთ.

თან ალ ხალიფას მთელი შუა აღმოსავლეთელი ფულიანი მენავთობეებისთვისაც მიუმართავს, ერთად გავუმართოდ ხელი გუნდსო. ცხადია, ხელის გამართვა უანგაროდ არ მოხდება და სანაცვლოდ ალ ხალიფა და მისი მეგობრები კლუბის აქციებს დაეპატრონებიან. თავად შეიხმა კი ასე თქვა: ჯონათან ვუდგეიტის გაყიდვის გამო ჯერაც ვერ მოვსულვარ გონსო.

ბოლოს კი დავძინოთ, რომ „ლიდსის“ ყიდვა დღეს 12 მილიონ გირვანქად შეიძლება, ოღონდ მყიდველმა 80 მილიონი ვალის გასტუმრებაც თავის თავზე უნდა აიღოს.

ირაკლი ნინიძე

ვიერიზე არც იოცნებოთ

ინტერი ბობოს ბაზარზე არ გაიყვანს

„ინტერმა“ „ჩელსის“ კრისტიან ვიერიზე ამაო ოცნების შეწყვეტა ურჩია, არ იყიდებაო. ტელეშოუ „ილ პროჩესო დი ბისკარდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მილანელთა სპორტულმა დირექტორმა მარკო ბრანდამ განაცხადა, რომ ვიერის ბაზარზე არაფერი ესაქმება.

სხვა საქმეა, რომ ბობოსა და გულშემატკივართა ერთი ნაწილის დაძაბული ურთიერთობა ეჭვს ბადებს. გარდა ამისა, გაიხსენეს, რომ ამ სეზონში ორი ყველაზე დიდი გამარჯვება, „არსენალთან“ და „იუვენტუსთან“, „ინტერმა“ სწორედ ვიერის გარეშე მოიპოვა, მაგრამ ბრანდამ ასეთი მსჯელობა გააკრიტიკა:

„ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ იტალიის საუკეთესო თავდამსხმელზე ვლაპარაკობთ. ის „ინტერის“ მთავარი ფიგურაა, მას ამ გუნდის მეტოქეთა კარში ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი“.

30 წლის ვიერი „სან სიროზე“ 1999 წლიდანაა. იგი „ლაციოდან“48 მილიონ დოლარადაა ნაყიდი, მანამდე კი „იუვენტუსსა“ და მადრიდის “ატლეტიკოში“ გამოდიოდა.

პაპუნა კ ე დ ი ა

ვენგერის კოქტეილი: სესკ-ბომბი

ინგლისი

ლიგის თასი. 1/8 ფინალი

არსენალი 5:1 ვულვერჰემპტონი
1:0 ალიადირი (24), 2:0 კანუ (68), 3:0 ალიადირი (71), 4:0 ვილტორდი (79), 4:1 ა. რაე (81), 5:1 სოლერი (88ს.კ.)

საუთჰემპტონი 2:0 პორტსმუთი
1:0, 2:0 ბიტი (33, 90პ)
გაძევება: დე ზეუვი (90, პორტსმუთი)



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ვულვერჰემპტონი. ფრანსესკ ფაბრეგას სოლერი: „არსენალის" ყველაზე „უმცროსი გოლი"

არსენ ვენგერმა, სეზონში პირველად, ძირითად შემადგენლობაში 8 ყმაწვილკაცი ათამაშა და დიდ ბიჭებს დასვენების საშუალება მისცა. ახალგაზრდებთან ერთად 90 წუთი დაჰყვეს მოედანზე პატრიკ ვიეირამ, სილვენ ვილტორდმა და ნვანკო კანუმ. ვიეირა სექტემბრის შემდეგ ტრავმის გამო ისვენებდა და ახლა უკვე ფორმაშია.

„არსენალი" მთელი მატჩის მანძილზე უპირატესობას ფლობდა და ეს ანგარიშშიც აისახა. „მეთოფეთა" პირველი გოლი ჯერემი ალიადირმა მიითვალა — ტაიმის შუაწელში სტუმართა მცველ ლი ნეილორის პასი ჩაჭრა და „ვულვზის" მეკარე მარშალს შანსი არ დაუტოვა.

შესვენების შემდეგ ვილტორდკანუს კომბინაცია ნიგერიელის ზუსტი დარტყმით დასრულდა, სამიოდ წუთში კი კანუმ ასისტენტობა ალიადირს გაუწია და ფრანგმა ფორვარდმა დუბლი შეასრულა. შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთი რჩებოდა, გოლსმოწყურებულმა ვილტორდმაც რომ გაიტანა, რაზეც სტუმარმა ალექს რაემ უმალ უპასუხა, თუმც ამ მატჩში ისტორიული გოლის ავტორობა პირტიტველ ესპანელს ფრანსესკ ფაბრეგას სოლერს ეწერა. 16 წლის ესპანელმა, მეტსახელად „სესკმა", რომელიც „მეთოფეებმა" გასულ ზაფხულს შეიძინეს, „ვულვზის" კარში მეხუთე შეაგდო და ყველაზე ახალგაზრდა მეგოლე აღმოჩნდა მათ შორის, ვისაც „არსენალის" მაისურით გაუტანია.

„სამი გამოცდილი და რვა ახალწვეულის ერთგვარი „კოქტეილი" გავიყვანე მოედანზე და ძალიან კმაყოფილი დავრჩი მათი გარჯით. გამარჯვება აშკარად დაიმსახურეს და ვულოცავ ამ წარმატებას" — თქვა ნამატჩევს არსენ ვენგერმა.

„ეს ის ფეხბურთი არ იყო, რაც გუნდს ვასწავლე. ვიცოდით, რომ „არსენალთან" მძიმე შეხვედრა გველოდა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნებოდა მასპინძელთა დამწყებ თერთმეტეულში. სამწუხაროდ, ჩემმა ფეხბურთელებმა საკუთარი თამაში ვერ იპოვეს და ასეთ ვითარებაში მოგებაზე ოცნებაც კი სასაცილოა" — დაიჩივლა „ვულვერჰემპტონის" თავკაცმა დეივ ჯონსმა.

საუთჰემპტონში სამხრეთული დერბი გაიმართა. „წმინდანები" და „პორტსმუთი" ბოლო რვა წელიწადში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, სულ კი 30-ედ. სტუმრებს ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი აკლდათ, მასპინძლებს — მეგოლე კევინ ფილიპსი. სამაგიეროდ, „საუთჰემპტონს" ჯეიმს ბიტი ჰყავს, რომელმაც გუნდის ოთხმატჩიანი უგოლო სერია დაასრულა. ბიტმა დამხვდურები პირველი ტაიმის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე დააწინაურა. შეხვედრის მიწურულს კი მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა.

ვაჟა ხუციშვილი

I დივიზიონი
გადადებული მატჩები

როტერჰემი 2:0 ძოვენთრი
1:0 ბიფილდი (14), 2:0 ბარკერი (39)

სანდერლენდი 1:1 უიგანი
0:1 დე ვოსი (70), 1:1 დოუნინგი (82პ)

ვესტ ბრომვიჩი	20	12	4	4	31:17	40
ნორვიჩი	21	11	6	4	30:20	39
შეფილდი	20	11	4	5	31:21	37
უიგანი	21	9	8	4	29:21	35
იფსვიჩი	20	10	4	6	40:30	34
სანდერლენდი	21	9	7	5	24:17	34
რედინგი	21	10	4	7	27:23	34
ვესტ ჰემი	20	8	9	3	27:16	33
კარდიფი	20	8	7	5	34:21	31
პრესტონი	20	8	4	8	26:23	28
მილუოლი	21	7	7	7	24:23	28
ქრიუ	20	8	3	9	21:24	27
ნოტინგემი	20	7	5	8	32:29	26
ჯილინგემი	21	7	5	9	27:34	26
ქოვენთრი	21	5	10	6	26:28	25
ბარნლი	21	6	7	8	29:34	25
უოლსოლი	20	6	6	8	23:23	24
უოტფორდი	21	6	6	9	22:26	24
როტერჰემი	21	5	8	8	18:28	23
კრ. პალასი	20	5	7	8	23:31	22
დერბი	21	5	7	9	23:34	22
სტოკი	20	5	5	10	22:29	20
ბრედფორდი	20	4	5	11	19:31	17
უიმბლდონი	21	4	2	15	22:47	14

მაგათს შტუტგარტის მარცხი გაუხარდა

გერმანია

თასის 1/8 ფინალი

რეგენსბურგი 3:3დ.დ.(პენ.2:4, 3:3) დუისბურგი
0:1 შპიზაკი (14), 1:1 შტოლცერსი (15), 2:1, 3:1 რაკლი (25, 47), 3:2, 3:3 აპანფუფი (66, 90)

ბრაუნშვაიგი 0:5 ალემანია
0:1 კრონტირისი (30), 0:2 პფლიპსენი (48), 0:3, 0:4 კრონტირისი (55, 59), 0:5 მეიერი (64)

ჰოფენჰაიმი 3:2 ლევერკუზენი
1:0 ზიგერი (7პ), 2:0 ტრომი (30), 2:1 ლუსიო (54), 2:2 ბერბატოვი (67), 3:2 ჰერდლინგი (77)

მიონხენგლადბახი 4:2 შტუტგარტი
0:1 კურანი (42), 1:1, 2:1 სვერკოში (48, 54), 2:2 საბიჩი (60), 3:2 სვერკოში (71), 4:2 ვან ლენტი (74)



REUTERS მიონხენგლადბახიდან

გაცლავ სვერკოში

ბუნდესლიგის თოთხმეტ ტურში ოდენ სამი გოლის გამშვებ „შტუტგარტს" გლადბახელებმა ერთბაშად ოთხი მიართვეს. ფელიქს მაგათი სეზონში პირველი დამარცხდა გერმანულ გუნდთან, მანამდე, სექტემბერში ჩემპიონთა ლიგაში ოდენ „რეინჯერსთან" წაეგო.

მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" გასულ უქმეებზე „კაიზერსლაუტერნს" სძლია და ჰოლგერ ფახის შეგირდები ბუნდესლიდერსაც კბილებალესილნი დაუხვდნენ. შეხვედრის საწყის ოც წუთში „შტუტგარტი" უკეთ გამოიყურებოდა, მასპინძლები კი დაბნეულნი ჩანდნენ, მაგრამ „ბორუსიამ" ნელ-ნელა გამოასწორა თამაში და რამდენჯერმე მეტოქის მეკარე ჰეინენის შეწუხებაც მოახერხა, რომელიც ჰილდებრანდის ნაცვლად თამაშობდა.

მიუხედავად ამისა, პირველი გოლი მეირას პასით კურანიმ შეაგდო, შვიდიოდ მეტრიდან მის უზადო თავურს სტიელი ვერ შესწვდა.

შესვენების შემდეგ მასპინძელთა ზეობა დაიწყო. კოლკამ და სვერკოშმა „შტუტგარტი" დაამამათეს. პირველმა ორი საგოლე პასი მიითვალა, მეორემ კი ჰეთ თრიქი შეასრულა. განსაკუთრებით ლამაზი სვერკოშის გამთანაბრებელი გოლი გამოდგა. საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილმა ჰეინენს ბურთი შორეულ კუთხეში მოუჭრა. მალე ჰეინენმა მეორედ შეიარა კარის ხაზს შიგნით ბურთის გამოსატანად. უნგრელმა საბიჩმა გაქვითვა მყისვე მოახერხა, მაგრამ შეხვედრის ბედი სამ წუთში გადაწყდა. კოლკას პასით სვერკოშმა მესამე რომ შეაგდო, მწვრთნელმა იგი არი ვან ლენტით შეცვალა, რომელმაც შესვლისთანავე ექვსიოდ მეტრიდან მეოთხე გაიტანა და „შტუტგარტის" ყველა მცდელობა მატჩის გადარჩენისა, ამაო გამოდგა.

„მარცხი სამწუხაროა, რადგან თამაშს ჩვენ ვიგებდით, თუმც ამ წაგებას თავისი დადებითი მხარეც აქვს. ახლა მთლიანად ბუნდესლიგასა და ჩემპიონთა ლიგაზე გადავერთვებით და თასი აღარ შეგვაწუხებს" — თქვა ფელიქს მაგათიმ.

„ეს ბრწყინვალე ფეხბურთი გახლდათ. პირველ ტაიმში ჩემი გუნდი არ მომეწონა, მაგრამ როცა მეტოქეს გამართულად შევუტიეთ, აღმოჩნდა, რომ „შტუტგარტი" უძლეველი არაა. ვაცლავის (სვერკოში) სამი გოლი ფანტასტიური შედეგია" — ხარობდა „ბორუსიას" მწვრთნელი ჰოლგერ ფახი.

„შტუტგარტი" ბუნდესლიგელის მსხვერპლი გახდა, ლევერკუზენის „ბაიერი" კი რეგიონალლიგელმა „ჰოფენჰაიმმა" შეარცხვინა. პონტეს და რამელოს გარეშე მოთამაშე „ფარმაცევტებს" ორი გოლი ნახევარ საათში „აყლაპეს". სტუმარმა ბალიტჩმა მეშვიდე წუთზევე მეტოქე საპენალტოდ დასცა და ზიგერმა ბუტს თერთმეტი მეტრიდან გაუტანა. მოგვიანებით ზიგერის თავური დარტყმა ხარიხამ აისხლიტა, თუმც მასპინძელთა სწრაფ კონტრშეტევას ჰეიკო ტრომის მეორე გოლი მოჰყვა.

„ბაიერი" შესვენების შემდეგ „დაიქოქა" და დამხვდურებს საკუთარი საჯარიმოდან დიდხანს ცხვირი არ გამოაყოფინა. შედეგად ლუსიომ და ბერბატოვმა ორბურთიანი სხვაობა უმალ გააქრეს. ლევერკუზენელები ისე გაფთრებით უტევდნენ, კაცი იფიქრებდა, „ჰოფენჰაიმისგან" ნაფლეთები დარჩებაო, მაგრამ ჰერდლინგის მესამე გოლმა მრისხანე „ბაიერიც" კი დაამუხრუჭა და სტუმრები სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის ქალაქიდან შინ დამწუხრებულები დაბრუნდნენ. აღსანიშნავია, რომ ლევერკუზენელებს 23 აგვისტოდან თამაში არ წაეგოთ.

ვაჟა ხუციშვილი



REUTERS მიონხენგლადბახიდან

„ლევერკუზენის" მეკარე ჰანს-იორგ ბუტი სამი გოლით გაანაწყენეს

შოტლანდია

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

აბერდინი 2:3დ.დ.(2:2) ლივინგსტონი
0:1 ლილეი (15), 1:1 ტოში (34), 1:2 პასკვინელი (50), 2:2 ტოში (59), 2:3 მეკელი (99)

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
XIV ტური

სოსიედადი 0:0 ვალენსია

სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარმე, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, გაბილონდო, კარპინი, ალკისა (არანბურუ 72), კოვაჩევიჩი, დე პაულა (ნიჰათი 63)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, აიალა, პელეგრინო, კარბონი, მარჩენა, ბარახა, რუფეტე (ალბელდა 75), აიმარი, ვისენტე (ხისკო 70), ოლივეირა (ანგულო 65)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: დე პაულა, პელეგრინო, ვისენტე, აიმარი
მსაჯი: პუენტეს ლეირა
22 000 მაყურებელი

მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი
საკვალიფიკაციო

D ჯგუფი. II ტური

ინგლისი 0:1 ეგვიპტე
იაპონია 1:4 კოლუმბია

კოლუმბია	2	1	1	0	4:1	4
ეგვიპტე	2	1	1	0	1:0	4
იაპონია	2	1	0	1	2:4	3
ინგლისი	2	0	0	2	0:2	0

E ჯგუფი. II ტური

კოტ დივუარი 2:2 ირლანდია
მექსიკა 1:1 საუდეთი

ირლანდია	2	1	1	0	4:3	4
კოტ დივუარი	2	1	1	0	4:3	4
საუდეთი	2	0	1	1	2:3	1
მექსიკა	2	0	1	1	2:3	1

F ჯგუფი. II ტური

გერმანია 3:1 აშშ
კორეა 0:1 პარაგვაი

კორეა	2	1	0	1	2:1	3
აშშ	2	1	0	1	4:4	3
გერმანია	2	1	0	1	3:3	3
პარაგვაი	2	1	0	1	2:3	3

გავწეწავ!

მამენი VS ვიქტორია



სეფექალები მადრიდს ვერ იყოფენ

მამენ სანსი 27 წლის მოდელია, ხუთი წლის წინ კი მადრიდის ერთ-ერთ ბარში მრეცხავად მუშაობდა, ახლა კი... რაულის ცოლი გახლავთ. რაულ გონსალეს ბლანკო ესპანეთის მეფის შემდეგ მადრიდში მეორე კაცია. მისი მეუღლე კი, შესაბამისად, მეორე ქალია დედოფლის კვალად. დევიდ ბექემისა და პოშ-სპაისის მადრიდში გადასვლის გამო რაულ-სანსის წყვილს მესამე ადგილზე გადანაცვლება მოუწევთ

ესპანელ ჟურნალისტებს მამენი აღარც ახსოვთ, დღეაღამ ბექემის სახლთან ჩასაფრებულნი ინგლისელის ოჯახს დასდევენ სენსაციური ამბების მოლოდინში.

მამენ სანსმა ზაფხულშივე იყნოსა კონკურენციის საფრთხე. ვიქტორია ადამსს ესპანეთის დედაქალაქში სამოდელო ბიზნესში საუკეთესო პოდიუმებზე ეპატიჟებიან, რაც რაულის ცოლს ახელებს. გონსალეს ბლანკო ფუნთუშა, უკონფლიქტო კაცია, ისევე როგორც ბექემი, მამენმა კი ვიქტორიასგან შევიწროვება ვერ აიტანა და დაახეთქა: „მოდელად რომ იმუშავო, სულ მცირე, შესახედავად ოდნავ ლამაზი მაინც უნდა იყო, რასაც ვიქტორიაზე ვერ იტყვი, მაგრამ იგი არ ისვენებს და ყოველთვის წინა პლანზე ტრიალი სურს".

ქალბატონი სანსი ორი შვილის დედაა. მან ხუთიოდ წლის წინ მადრიდულ ბარში მომავალი მეუღლე ძალიან კოხტად „შეკერა" და რაულის გადაწყვეტილებით სრულიად ესპანეთი პირღია დარჩა. სამეფო კარის მთავარეზირმა ბარის მრეცხავთან რა საერთო ნახაო, უკვირდათ. თუმც, ქორწილის დღისთვის მამენი უკვე ფეხმძიმედ გახლდათ. საინტერესო დამთხვევაა: რაულ-სანსის ქორწილი 1999 წლის პირველ ივლისს, ბექემ-ადამსისა კი სამ ივლისს შედგა.

ყოფილი მრეცხავის „აყვავება" მთლიანად რაულის სახელის დამსახურებაა. „მამენმა ენა უნდა დაიმოკლოს — თქვა ერთ-ერთმა პროდიუსერმა, რომელიც სამოდელო ბიზნესში მოღვაწეობს — ასე დაუფარავად ქმრის მეგობრის მეუღლის გათათხვა არ შეიძლება. გასაგებია, რომ სანსი და რაული ბექემებმა ტახტიდან ჩამოაგდეს, ანუ ინგლისმა ესპანეთს 1:0 მოუგო, მაგრამ თამაში დასრულდა და ვეღარაფერს შეცვლი. სამწუხარო იქნება, თუ ქალების კონფლიქტი ქმრებზე იმოქმედებს, ისინი ხომ ერთ გუნდში თამაშობენ და მეგობრობენ".

დევიდ ბექემის ჩასვლამდე მადრიდის მკვიდრნი ფიგუ, ზიდანი და რონალდო გახდნენ. არც ერთი მათგანის მეუღლეს რაულ-სანსის პოზიციები არ შეურყევიათ, მაგრამ ახლა ინგლისელებმა ესპანელთა სათაყვანო წყვილი აშკარად დაჩრღილეს.

ვიქტორიას მამენის რეპლიკაზე არ უპასუხია, თუმც იქაური გაზეთები დევიდის ცოლზე მწყრალად არიან. პოშმა მადრიდზე თქვა, ნივრის სუნით აყროლებული ქალაქიაო. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ქალბატონ ადამსის სიფათის დანახვაზე ბრძანა, ისე გამოიყურება, თითქოს ნეხვს უსუნა და იჯღანებაო.

ვაჟა ხუციშვილი



რაულს და დევიდს ჯი ერთმანეთთან გასაყოფი არაფერი აქვთ

...და ან ცაზე ვარსკვლავები

იურგენ კლინსმანი



ალბათ ბევრი არ მოიძებნება ფეხბურთელი, რომელსაც ევროპის ხუთი დიდი ჩემპიონატიდან ოთხში გაუგორებია ბურთი. ერთი ასეთთაგანი იურგენ კლინსმანია, ფორვარდი, რომელმაც კარიერა „შტუტგარტში" დაიწყო, შემდეგ მილანის „ინტერში" გადავიდა, იქიდან „მონაკოში" ამოჰყო თავი, ხოლო მონაკოდან ინგლისს, კერძოდ ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპურს" მიაშურა. აი, მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდა კლინსმანი სამშობლოს, კერძოდ „ბაიერნს" და სწორედ იქ, მიუნხენის დიდ გუნდში თამაშის დროს გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

„ბაიერნის" შემდეგ იყო ისევ იტალია, ოღონდ ამჯერად „სამპდორია", ხოლო კარიერა ვარსკვლავმა „ტოტენჰემში" დაასრულა

ყველაფერი ესპანეთის გარდა

კაიზერმა კლინსმანს ნახვამდის დაამადლა

ამრიგად, ხუთეულიდან იურგენ კლინსმანმა მხოლოდ ესპანეთში ვერ შეძლო თამაში, თუმცა ეს უფრო უიღბლობამ განაპირობა, ვიდრე სხვა მიზეზმა. საქმე ის გახლავთ, რომ გერმანელს ორჯერ, არც მეტი, არც ნაკლები, მადრიდის „რეალი" ეპატიჟებოდა, მაგრამ ორივეჯერ ისე მოხდა, რომ მწვრთნელი, რომელსაც იგი თავისთან სურდა, მოხსნეს.

იურგენ კლინსმანის ფეხბურთი ბავშვობიდან იქცევდა ყურადღებას. ის ფორვარდად იყო შობილი, მეტსახელად „ოქროს ბომბარდირიც" კი შეარქვეს. ჩვიდმეტი წლის კლინსმანი მეორე ბუნდესლიგაში, „შტუტგარტერ კიკერსში" გამოჩნდა და იმავდროულად ჭაბუკთა ნაკრების უცვლელ წევრადაც იქცა, თუმცა დიდი ფეხბურთი 20 წლისას ეწვია, მშობლიური ქალაქის მეორე გუნდ „შტუტგარტში". იქ, „შტუტგარტში" კლინსი ბომბარდირი გახდა და ბერტი ფოგთსმა ახალგაზრდულ ნაკრებში უხმო, ფრანც ბეკენბაუერმა კი 1987 წელს, სამხრეთ ამერიკულ ტურნეზე უკვე დიდ ნაკრებთან ერთად იახლა. იმ წლის 12 დეკემბერს კლინსმანმა ბრაზილიაში ჩაიცვა პირველად გერმანიის ნაკრების მაისური.

ფორვარდს მომდევნო წელიწადს გაუჭირდა — გადაიქანცა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და ევროპის ჩემპიონატსა და ოლიმპიადაზე ითამაშა.

კიდევ ერთი წლის შემდეგ კლინსმ უეფას თასის ფინალში ამოჰყო თავი: მისმა „შტუტგარტმა" დიეგო მარადონას „ნაპოლისთან" წააგო, თუმცა იმხანად ევროთასის მოსაგებად იტალიაში ყოფნა იყო საჭირო — ფორვარდიც მილანის „ინტერის" წევრი შეიქნა. დავძინოთ, რომ იმ ეპოქას რამდენიმე თავისებურება ჰქონდა, კერძოდ, ერთ გუნდში სამ უცხოელზე მეტის თამაში იკრძალებოდა და იტალიური გუნდები აქცენტს ერთ რომელიმე ქვეყანაზე აკეთებდნენ. მაგალითად, „მილანი" მაშინ ჰოლანდიური ტრიოთი ბრწყინავდა, კლინსმანის „ინტერს" კი გერმანული ორიენტაცია ჰქონდა და ჩვენი წერილის გმირის გარდა, ანდრეას ბრემე და ლოთარ მათეუსი შეიძინა.

1990 წელს „ინტერის" გერმანული სამეული მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, 1991 წელს კი კლინსმანი, მათეუსი და ბრემე შავ-ლურჯი მაისურებით უეფას თასის მფლობელები შეიქნენ.

1992 წელს იურგენი უკვე „მონაკოში" თამაშობდა! მიზეზი: კონფლიქტი ლოთარ მათეუსთან.

„მონაკოში" ფორვარდი ცუდ გუნებაზე ჩავიდა — ცუდი თამაში ევროპის პირველობაზე, მარცხი დანიასთან — მაგრამ ის ორი წელიწადი, რომელიც მან საფრანგეთში გაატარა, მხოლოდ სასარგებლო გამოდგა. კლინსმანს დაჟინებით გაჰქონდა გოლები და 1994 წლის მუნდიალზე მისი წაყვანა-არწაყვანის საკითხს ვერავინ დასვამდა.

ან რა დასასმელი იყო. პირველ შეხვედრაში გოლი ბოლივიის კარში; გოლი ესპანელების კარში; ორი გოლი კორეის კარში; გოლი ბელგიის კარში; მერვედფინალში მისი სნაიპერული სვლა ბულგარელებთან მარცხმა შეწყვიტა.

მუნდიალის შემდეგ კლინსმანი ლონდონში გადაბარგდა და „ტოტენჰემის" ვარსკვლავი გახდა. აქ მას უწინდელზე ხშირად გაჰქონდა გოლები, პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ წლის საუკეთესო ფეხბურთელედაც დაასახელა. ამის შემყურე თანამემამულეებს იგი უკვე შინ, გერმანიაში ენატრებოდათ, თავი კი სხვებზე მეტად „ბაიერნმა" გამოიდო.

„ბაიერნის" შემადგენლობაში კლინსი ქვეყნის ჩემპიონიც გახდა და უეფას თასიც მოიგო.

შემდეგ კი იყო ევრო 96 — გერმანელთა ტრიუმფის შეჯიბრება. კლინსმანი კონტინენტის ჩემპიონი გახდა, ოღონდ...

ასაკი ასაკია. ჩვენი წერილის გმირი „სამპდორიაში" გადავიდა და შემადგენლობაში ვერ ჩაჯდა, რის გამოც „ტოტენჰემს" დაუბრუნდა. 98-ში მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატზე გერმანია მეოთხედფინალს ვერ გასცდა და სწორედ აქ დასრულდა დიდი ვარსკვლავის კარიერაც.

იურგენ კლინსმანი კალიფორნიაში ცხოვრობს, იქ, სადაც მას არავინ იცნობს. მასთან ერთად არიან მეუღლე დები და ვაჟი ჯონათანი.

ისე, ხშირად გამოუთქვამს სურვილი დიდი ფეხბურთიდან ღირსეულად გაეცილებინათ, მაგრამ ნაკრებს არ სცალიაო, მიუგეს, ფრანც ბეკენბაუერმა კი დაუფარავად შეუთვალა: გამოსათხოვარი თამაში მხოლოდ ლოთარ მათეუსს ეკუთვნის!

ერთ-ერთი, „შტუტგარტმა" დაუფასა გარჯა და ვარსკვლავთა ნაკრების აკომპანემენტით გააცილა ფეხბურთიდან. ვარსკვლავთა შორის იყვნენ რუუდ გულიტი, რუდი ფიოლერი, იურგენ კოლერი...

პაპუნა კედია

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა. XV ტური						
		6 დეკემბერი						
16.30	001	ნიუკასლი-ლივერპული	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
19.00	002	ბირმინგემი-ბლექბერნი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
19.00	003	ფულჰემი-ბოლტონი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	004	ლიდსი-ჩელსი	6,0	3,5	1,55	2,21	1,23	1,07
19.00	005	ლესტერი-არსენალი	6,0	3,5	1,55	2,21	1,23	1,07
19.00	006	მანჩესტერი-ასტონ ვილა	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
	007	მანჩესტერი-ასტონ ვილა 0:1	1,6	3,2	3,6			
19.00	008	მიდლსბრო-პორტსმუთი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
19.00	009	ტოტენჰემი-ვოლვერჰემპტონი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
		7 დეკემბერი						
18.00	010	ევერტონი-სიტი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
20.05	011	საუთჰემპტონი-ჩარლტონი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
		ინგლისი. I დივიზიონი. XXII ტური						
		6 დეკემბერი						
19.00	018	ბერნლი-შეფილდი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
19.00	019	კრიუ-ჯილინგემი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	020	იფსვიჩი-დერბი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
19.00	021	მილუოლი-ნორვიჩი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
19.00	022	პრესტონი-კრისტალ პალასი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
19.00	023	სტოუკი-კარდიფი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
19.00	024	უოლსოლი-ბრედფორდი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
19.00	025	უოტფორდი-ნოტინგემი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
19.00	026	ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
19.00	027	უიგანი-რედინგი	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
19.00	028	უიმბლდონი-როტერჰემი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
		8 დეკემბერი						
24.00	029	ქოვენტრი-სანდერლენდი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		ინგლისი. III დივიზიონი						
		6 დეკემბერი						
19.00	033	დარლინგტონი-იორკი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
19.00	034	ჰალი-ბური	1,6	3,4	5,3	1,08	1,22	2,07
		ინგლისი. კონფერენსი						
		6 დეკემბერი						
19.00	037	დაგ ენდ რედ-ნორთვიჩი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
19.00	038	ექსეტერი-ფორესტ გრინი	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
19.00	039	ფარნბორო-მარგეიტი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
19.00	040	ჰალიფაქსი-ჰერეფორდი	2,7	3,2	2,3	1,46	1,24	1,33
19.00	041	მორკემბი-ტელფორდი	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
		შოტლანდია. პრემიერლიგა. XV ტური						
		6 დეკემბერი						
16.30	044	დანფერმლაინი-სელტიკი	11.0	5,0	1,22	3,43	1,09	1
19.00	045	დანდი-კილმარნოკი	2,35	3,4	2,6	1,38	1,23	1,47
19.00	046	ლივინგსტონი-ჰარტსი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
19.00	047	რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი	1,12	6.0	17,0	1	1,05	4,43
	048	რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი 0:1	1,4	3,6	4,4			
		7 დეკემბერი						
19.00	049	აბერდინი-ჰიბერნიანი	2,6	3,3	2,4	1,45	1,24	1,38
19.00	050	პარტიკი-მაზერველი	3,5	3,4	1,9	1,72	1,23	1,21
		შოტლანდია. I დივიზიონი. XVI ტური						
		6 დეკემბერი						
19.00	052	ბრეჩინი-ფოლკირკი	4,6	3,6	1,6	2,01	1,18	1,1
19.00	053	კლაიდი-როსი	1,5	3,8	5,6	1,07	1,18	2,26
19.00	054	ინვერნესი-ქუინი	1,9	3,5	3,3	1,23	1,2	1,69
19.00	055	სტ.ჯონსტონი-რეითი	2.0	3,4	3,2	1,25	1,23	1,64
19.00	056	სტ.მირენი-ეარი	1,8	3,4	3,6	1,17	1,19	1,74
		შოტლანდია. II დივიზიონი. XV ტური						
		6 დეკემბერი						
19.00	063	ბერვიკი-ეარდრი	2,15	3,4	2,8	1,31	1,21	1,53
19.00	064	ისტ ფაიფი-ჰამილტონი	2,2	3,4	2,7	1,33	1,21	1,5
19.00	065	ფორფარი-ალოა	1,6	3,6	4,6	1.1	1,18	2.01
19.00	066	მორტონი-არბროთი	1,4	3,8	6,5	1,02	1,15	2,39
19.00	067	სტენჰაუსმუირი-დამბარტონი	2,35	3,4	2,45	1,38	1,19	1,42
		შოტლანდია. III დივიზიონი. XV ტური						
		6 დეკემბერი						
19.00	073	კოუდენბითი-ელგინი	1,55	3,6	5,0	1,08	1,18	2,09
19.00	074	პიტერჰედი-ალბიონი	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94
19.00	075	ქუინს პარკი-ისტ სტერლინგი	1,45	3,8	5,6	1,04	1,15	2,26
19.00	076	სტირლინგი-გრეტნა	1,65	3,6	4,2	1,13	1,18	1,93
19.00	077	სტრანრაერი-მონტროუზი	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94
		გერმანია. ბუნდესლიგა. XV ტური						
		6 დეკემბერი						
18.30	080	მიუნხენი-ჰანზა	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
18.30	081	დორტმუნდი-ჰერტა	1,5	3.8	6.0	1,07	1.2	2,32
18.30	082	შტუტგარტი-ჰამბურგი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
18.30	083	ვერდერი-ბაიერნი	2,4	3,3	2,6	1,38	1,24	1,45
18.30	084	ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
18.30	085	აინტრახტი-ჰანოვერი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
18.30	086	ფრაიბურგი-ბოხუმი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
		7 დეკემბერი						
20.30	087	კიოლნი-ლევერკუზენი	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
20.30	088	შალკე-მიონხენგლადბახი	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		გერმანია. II ბუნდესლიგა. XV ტური						
		5 დეკემბერი						
22.00	092	დუისბურგი-აუე	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05
22.00	093	ტრიერი-კარლსრუე	2,45	3,2	2,5	1,38	1,23	1,4
22.00	094	რეგენსბურგი-ბურგჰაუზენი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
		7 დეკემბერი						
18.00	095	არმინია-ფიურტი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
18.00	096	ნიურნბერგი-ოსნაბრიუკი	1,55	3,5	5,6	1,07	1,21	2,15
18.00	097	ალემანია-ობერჰაუზენი	1,9	3,2	3,6	1,19	1,24	1,69
18.00	098	უნიონი-ალენი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92
18.00	099	ლიუბეკი-კოტბუსი	2,45	3,2	2,5	1,38	1,23	1,4
		8 დეკემბერი						
23.15	100	უნტერჰახინგი-მაინცი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XIX ტური						
		6 დეკემბერი						
16.00	104	ლაიპციგი-პადერბორნი	2,5	3,3	2,35	1,42	1,21	1,37
17.00	105	ნოიმიუნსტერი-კილი	2,35	3,2	2,35	1,35	1,17	1,35
17.00	106	ურდინგენი-ჰამბურგი(მ)	1,6	3,6	4,6	1,1	1,18	2,01
17.00	107	მიუნსტერი-სტ.პაული	2,5	3,3	2,35	1,42	1,21	1,37
17.00	108	კიოლნი(მ)-ქემნიცი	1,95	3,4	3,2	1,23	1,21	1,64
		7 დეკემბერი						
17.00	109	ვერდერი(მ)-ესენი	2,1	3,3	2,8	1,28	1,19	1,51
17.00	110	ვატენშაიდი-დინამო	2,4	3,3	2,45	1,38	1,21	1,4
17.00	111	ბრაუნშვაიგი-ვუპერტალი	2,2	3,4	2,7	1,33	1,21	1,5
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XIX ტური						
		5 დეკემბერი						
22.30	117	ოფენბახი-შტუტგარტი(მ)	1,8	3,4	3,5	1,17	1,18	1,72
		6 დეკემბერი						
17.00	118	ეშბორნი-ფულენდორფი	2,0	3,3	3,2	1,24	1,23	1,62
17.30	119	ელვერსბერგი-ჰოფენჰაიმი	1,95	3,3	3,3	1,22	1,22	1,65
17.30	120	ვეჰენი-აუგსბურგი	2,2	3,3	2,8	1,32	1,23	1,51
17.30	121	აალენი-ზაარბრიუკენი	2,35	3,3	2,5	1,37	1,21	1,42
		7 დეკემბერი						
17.00	122	კაიზერსლაუტერნი(მ)-მაინცი(მ)	2,35	3,3	2,5	1,37	1,21	1,42
18.00	123	ზიგენი-ერფურტი	2,05	3,4	3,0	1,27	1,21	1,59
		იტალია. სერია A. XII ტური						
		6 დეკემბერი						
21.00	127	ემპოლი-მილანი	5,6	3,2	1,65	2,03	1,27	1,08
23.30	128	ლაციო-იუვენტუსი	2,7	3,0	2,4	1,42	1,27	1,33
		7 დეკემბერი						
18.00	129	ბოლონია-ანკონა	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12
18.00	130	ინტერი-პერუჯა	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	131	ინტერი-პერუჯა 0:1	1,65	3,3	3,3			
18.00	132	ლეჩე-პარმა	3,2	3,0	2,25	1,54	1,32	1,28
18.00	133	მოდენა-ბრეშა	1,95	2,9	4,2	1,16	1,33	1,71
18.00	134	სამპდორია-სიენა	1,85	2,9	4,6	1,12	1,31	1,77
18.00	135	უდინეზე-რეჯინა	1,7	3,1	5,3	1,09	1,28	1,95
23.30	136	კიევო-რომა	5.0	3,2	1,7	1,95	1,26	1,11
		ესპანეთი. I დივიზიონი. XIV ტური						
		4 დეკემბერი						
24.00	187	რასინგი-სევილია	2,0	3,1	2,6	1,21	1,13	1,41
24.00	188	სარაგოსა-ბილბაო	2,25	3,1	3,1	1,3	1,3	1,55
		საფრანგეთი. II დივიზიონი. XVII ტური						
		4 დეკემბერი						
23.15	249	ლორიანი-ტრუა	1,75	2,8	5,3	1,07	1,31	1,83
		პორტუგალია. სუპერლიგა. XIII ტური						
		5 დეკემბერი						
23.00	266	ბოავიშტა-მორეირენსე	1,5	3,5	7,0	1,04	1,23	2,33
00.45	267	მარიტიმუ-პორტუ	4,0	3,2	1,85	1,77	1,26	1,17
		7 დეკემბერი						
20.00	268	ჟილ ვისენტე-ნასიონალი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
20.00	269	რიუ ავე-გიმარაეში	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
20.00	270	ალვერკა-აკადემიკა	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
22.00	271	ბრაგა-ლეირია	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
22.00	272	ამადორა-სპორტინგი	5,0	3,6	1,6	2,09	1,21	1,1
00.15	273	ფერეირა-ბენფიკა	6,0	3,8	1,5	2,32	1,2	1,07
		8 დეკემბერი						
23.45	274	ბეირა მარი-ბელენენსეში	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
		ბელგია. I დივიზიონი. XV ტური						
		5 დეკემბერი						
23.30	318	სტანდარდი-ბრიუგე	2,2	3,3	3,0	1,32	1,26	1,57
		6 დეკემბერი						
21.00	319	გენკი-ანდერლეხტი	2,9	3,3	2,25	1,54	1,26	1,33
23.00	320	ლოკერენი-ვესტერლო	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
23.00	321	ლუვენი-სტ.ტრუიდენი	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
23.00	322	ანტვერპენი-გენტი	2,5	3,3	2,45	1,42	1,23	1,4
23.00	323	ლილერსი-ბეერსხოტი	2,1	3,3	3,2	1,28	1,26	1,62
23.00	324	მუსკრონი-შარლერუა	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	325	მუსკრონი-შარლერუა 0:1	2,05	3,2	2,45			
		7 დეკემბერი						
18.00	326	სერკლი-ბევერენი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
18.00	327	მონსი-ჰეუსდენი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია. ბუნდესლიგა. XX ტური						
		6 დეკემბერი						
18.30	342	ადმირა-მატერსბურგი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
18.30	343	გრაცერი-კერნტენი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	344	გრაცერი-კერნტენი 0:1	1,75	3,2	3,0			
18.30	345	პაშინგი-ბრეგენცი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
		7 დეკემბერი						
18.30	346	ზალცბურგი-ავსტრია	3,4	3,3	2,0	1,67	1,25	1,24
19.00	347	რაპიდი-შტურმი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	348	რაპიდი-შტურმი 0:1	1,95	3,2	2,6			
		დანია. სუპერლიგა. XX ტური						
		6 დეკემბერი						
20.00	353	ნორდსიელანდი-ორჰუსი	2,05	3,3	3,3	1,26	1,26	1,65
		7 დეკემბერი						
18.00	354	ჰერფოლგე-ვიბორგი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
18.00	355	მიდტიულანდი-ფრემი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
18.00	356	კოპენჰაგენი-აკადემისკი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	357	კოპენჰაგენი-აკადემისკი 0:1	1,75	3,2	3,0			
18.00	358	ესბიერგი-ოდენსე	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
20.35	359	ოლბორგი-ბრიონდბი	3,4	3,4	1,95	1,7	1,23	1,23
		თურქეთი. სუპერლიგა. XV ტური						
		5 დეკემბერი						
22.00	374	ბეშიქთაში-ადანა	1,15	5,6	14,0	1	1,06	4
	375	ბეშიქთაში-ადანა 0:1	1,4	3,8	4,0			
		6 დეკემბერი						
15.30	376	დიარბაქირი-ელაზიგი	1,55	3,5	5,6	1,07	1,21	2,15
15.30	377	სამსუნი-სებათი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
15.30	378	ისთანბული-გალათასარაი	4,2	3,3	1,75	1,84	1,23	1,14
21.00	379	ტრაბზონი-გაზიანთეპი	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
		7 დეკემბერი						
15.30	380	მალათია-გენჩლერბირლიგი	1,85	3,4	3,4	1,19	1,19	1,7
15.30	381	დენიზლი-კონია	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
15.30	382	რიზე-ბურსა	1,55	3,5	5,6	1,07	1,21	2,15
21.00	383	ანკარაგიუჯუ-ფენერბაჩე	1,8	3,4	3,6	1,17	1,19	1,74
		ხორვატია. 1.HNL. XVII ტური						
		6 დეკემბერი						
16.30	397	ინკერი-ზადარი	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
16.30	398	ზაგრები-ვარტექსი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
16.30	399	სლავენი-მარსონია	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
16.30	400	ოსიეკი-რიეკა	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
18.30	401	კამენი-ციბალია	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
21.00	402	პომორიე-დინამო	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
		ჩილე. კლაუსურა						
		4 დეკემბერი						
01.00	447	პალესტინო-უნივერსიდადი	2,1	3,1	3,2	1,25	1,26	1,57
03.30	448	უნ.კატოლიკა-კოლო კოლო	3,2	3,3	2,0	1,62	1,23	1,24
		მექსიკა. აპერტურა						
		4 დეკემბერი						
01.00	454	ატლანტე-სანტოსი	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62
06.30	456	ნეკახა-პაჩუკა	2,25	3,1	2,9	1,3	1,26	1,49
		ინგლისი. თასი. II ეტაპი						
		5 დეკემბერი						
23.45	462	უიკომბი-მანსფილდი	2,2	3,3	2,9	1,32	1,25	1,54
		6 დეკემბერი						
18.00	463	პიტერბორო-გრიმსბი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
19.00	464	ბორნმუთი-აკრინგტონი	1,35	4,0	8,0	1	1,15	2,66
19.00	465	ბრისტოლი-ბარნსლი	1,85	3,2	3,8	1,17	1,24	1,73
19.00	466	ჩელტენჰემი-ლეიტონი	2,15	3,3	3,0	1,3	1,25	1,57
19.00	467	კოლჩესტერი-ოლდერშოტი	1,4	3,8	7,5	1,02	1,17	2,52
19.00	468	მაკლსფილდი-კემბრიჯი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
19.00	469	ოლდემი-ბლეკპული	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
19.00	470	როჩდეილი-ლუტონი	3,3	3,2	2,05	1,62	1,26	1,24
19.00	471	სკანთორპი-უენსდი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24	1,37
19.00	472	საუთენდი-ლინკოლნი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24	1,37
19.00	473	სუინდონი-სტივენიჯი	1,45	3,8	6,5	1,04	1,18	2,39
19.00	474	ტელფორდი-ბრენტფორდი	3,3	3,3	2,0	1,65	1,24	1,24
19.00	475	უოკინგი-კიდერმინსტერი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
19.00	476	იოვილი-ბარნეტი	1,5	3,6	6,0	1,05	1.2	2,25
21.35	477	გრეივსენდი-ნოტსი	3,6	3,4	1,8	1,74	1,19	1,17
		7 დეკემბერი						
17.00	478	ბარტონი-ჰარტლპული	3,6	3,4	1,8	1,74	1,19	1,17
19.00	479	პორტ ვეილი-სკარბორო	1,3	4,4	9,0	1	1,13	2,95
		შოტლანდია. ლიგის თასი.III ეტაპი						
		4 დეკემბერი						
23.30	493	პარტიკი-სელტიკი	12,5	6,5	1,12	4,27	1,02	1
		იტალია. თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები						
		4 დეკემბერი						
18.30	508	კიევო-პერუჯა	1,7	3,1	5,0	1,09	1,26	1,91
21.00	509	რომა-პალერმო	1,3	4,0	9,0	1	1,13	2,76
24.00	510	ინტერი-რეჯინა	1,3	4,0	9,0	1	1,13	2,76
		შვეიცარია. თასი. 1/4 ფინალი						
		7 დეკემბერი						
17.30	512	ანოი-ვილი	2,15	3,3	2,9	1,3	1,23	1,54

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17.30	513	შეირინი-ციურიხი	2,8	3,3	2,2	1,51	1,23	1,32
17.30	514	ჭაბაშჩი-გრანპიერი	2,8	3,3	2,2	1,51	1,23	1,32
17.30	515	ფუნი-ხტ.ფალენი	2,0	3,3	3,2	1,24	1,23	1,62
		სამხრეთ ამერიკის თახი. 1/2 ფინალი. II მატჩები						
		4 დეკემბერი						
04.10	522	სენსიანი-ნასიონალი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
		ᲨᲩ (20 წლამდე). საამიროები						
		4 დეკემბერი						
17.45	530	საამბრიდეი(20)-ბურკინა ფასი(20)	3,2	3,1	2,0	1,57	1,23	1,21
17.45	531	არგენტინა(20)-მალი(20)	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
17.45	532	ბრაზილია(20)-ავსტრალია(20)	1.4	3.8	7,0	1.02	1.16	2.46

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.30	533	კანადა(20)-ჩეხეთი(20)	7,5	4,0	1,35	2,6	1,14	1
20.30	534	ესპანეთი(20)-უსბეკეთი(20)	1,15	6,0	11,0	1	1,04	3,88
20.30	535	სლოვაკეთი(20)-პანამა(20)	1,45	3,8	6,0	1,04	1.16	2,32
		პოკერი. რუსეთი						
		4 დეკემბერი						
16.30	1001	ავანგარდი-ცსკა	1,4	5,3	4,4	1,1	1,06	2,4
19.30	1002	ხიმკი-ამური	1,6	4,8	3,4	1,2	1,08	1,99
19.30	1003	ფ ბარსი-ატკ	1,3	6,0	5,0	1,06	1,03	2,72
19.30	1004	ნეფტეხიმიკი-სევერსტალი	1,8	4,8	2,6	1,3	1,06	1,68
15.30	1005	ნოვოკუზნეცკი-ლოკომოტივი	2,15	4,8	2,2	1,48	1,08	1,5
16.30	1006	სიბირი-ტორპედო	1,6	4,8	3,4	1,2	1,08	1,99

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	1007	დინამო-სოლაევი	1,4	5,0	4,6	1,09	1,07	2,39
17.30	1008	მაგნიტოგორსკი-ლადა	1,65	4,8	3,2	1,22	1,08	1,90
		პოკერი. გერმანია						
		4 დეკემბერი						
22.30	1063	ფრანკფურტი-პანოვერი	1,3	5,6	5,3	1,05	1,04	2,72
		კალათბურთი. ევროლიგა						
		4 დეკემბერი						
22.40	1208	ჯალორიხი-მაკაბი	1,8	10,0	1,8	1,52	1	1,52
23.40	1209	სიენა-პანათინაიკოსი	1,3	10,0	2,8	1,15	1	2,18
23.40	1210	რიმა-ოლიმპია	1,5	10,0	2,2	1,3	1	1,8
23.40	1211	ვიტორიანი-ვალენსია	2,8	10,0	1,3	2,18	1	1,15
00.10	1212	უნიკახა-კრეა	1,2	10,0	3,3	1,07	1	2,48

ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲝᲠᲘᲗᲘ ᲑᲣᲜᲓᲘ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ ᲑᲝᲚᲚ (ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲠᲝ)

---------- კი ---------- არა

4 დეკემბერი

24.00	5310	რასინგი-სევილია	1,65	1.95
24.00	5311	სარაგოსა-ბილბაო	1,65	1,95

6 დეკემბერი

16.30	5312	ნიუკასლი-ლივერპული	1,7	1.9
19.00	5313	ბირმინგემი-ბლეკბერნი	1,75	1,85
19.00	5314	ფულემი-ბოლტონი	1,75	1,85
19.00	5315	ლიდსი-ჩელსი	1,7	1,9
19.00	5316	ლესტერი-არსენალი	1,75	1,85
19.00	5317	მანჩესტერი-ასტონ ვილა	1,85	1,75
19.00	5318	მიდლსბრო-პორტსმუთი	1,75	1,85
19.00	5319	ტოტენჰემი-ვულვერჰემპტონი	1,8	1,8
18.30	5320	მიუნხენი-პანზა	1,65	1,95
18.30	5321	დორტმუნდი-პერტა	1,65	1,95
18.30	5322	შტუტგარტი-ჰამბურგი	1,65	1,95
18.30	5323	ვერდერი-ბაიერნი	1,55	2,1
18.30	5324	ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი	1.6	2,0
18.30	5325	აინტრახტი-პანოვერი	1,6	2,0
18.30	5326	ფრაიბურგი-ბოხუმი	1,6	2.0
21.00	5327	ემპოლი-მილანი	1,7	1.9
23.30	5328	ლაციო-იუვენტუსი	1,65	1,95

7 დეკემბერი

18.00	5333	ევერტონი-სიტი	1,75	1,85
20.05	5334	საუთჰემპტონი-ჩარლტონი	1,75	1,85
20.30	5335	კიოლნი-ლევერკუზენი	1,6	2,0
20.30	5336	შალკე-მიონხენგლადბახი	1,65	1,95
18.00	5337	ბოლონია-ანკონა	1,7	1.9
18.00	5338	ინტერი-პერუჯა	1,75	1,85
18.00	5339	ლეჩე-პარმა	1,65	1,95
18.00	5340	მოდენა-ბრეშა	1,65	1,95
18.00	5341	სამპდორია-სიენა	1,65	1,95
18.00	5342	უდინეზე-რეჯინა	1,65	1,95
23.30	5343	კიევო-რომა	1,65	1,95

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

4 დეკემბერი

24.00	5210	რასინგი-სევილია	1,85	1,75
24.00	5211	სარაგოსა-ბილბაო	1,8	1.8

6 დეკემბერი

16.30	5212	ნიუკასლი-ლივერპული	1,9	1,7
19.00	5213	ბირმინგემი-ბლეკბერნი	1,8	1.8
19.00	5214	ფულემი-ბოლტონი	1,9	1.7
19.00	5215	ლიდსი-ჩელსი	1,85	1,75
19.00	5216	ლესტერი-არსენალი	1,85	1,75
19.00	5217	მანჩესტერი-ასტონ ვილა	1,95	1,65
19.00	5218	მიდლსბრო-პორტსმუთი	1,8	1.8
19.00	5219	ტოტენჰემი-ვულვერჰემპტონი	1,9	1.7
18.30	5220	მიუნხენი-პანზა	1,9	1,7
18.30	5221	დორტმუნდი-პერტა	1,95	1.65
18.30	5222	შტუტგარტი-ჰამბურგი	2,0	1,6
18.30	5223	ვერდერი-ბაიერნი	1,95	1,65
18.30	5224	ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი	1,95	1,65
18.30	5225	აინტრახტი-პანოვერი	1,95	1,65
18.30	5226	ფრაიბურგი-ბოხუმი	1,95	1,65
21.00	5227	ემპოლი-მილანი	1,75	1.85
23.30	5228	ლაციო-იუვენტუსი	1,8	1.8

7 დეკემბერი

18.00	5233	ევერტონი-სიტი	1,9	1,7
20.05	5234	საუთჰემპტონი-ჩარლტონი	1,75	1,85
20.30	5235	კიოლნი-ლევერკუზენი	2,0	1,6
20.30	5236	შალკე-მიონხენგლადბახი	2,0	1,6
18.00	5237	ბოლონია-ანკონა	1,65	1,95
18.00	5238	ინტერი-პერუჯა	2,0	1,6
18.00	5239	ლეჩე-პარმა	1,85	1,75
18.00	5240	მოდენა-ბრეშა	1,7	1,9
18.00	5241	სამპდორია-სიენა	1,8	1,8
18.00	5242	უდინეზე-რეჯინა	1,75	1,85
23.30	5243	კიევო-რომა	1,85	1,75

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი დაბრუნდა ჩაითვლება)

4 დეკემბერი

24.00	5410	რასინგი-სევილია	1,7	2,2
24.00	5411	სარაგოსა-ბილბაო	1,8	2.0

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		4 დეკემბერი						
24.00	5010	რასინგი-სევილია	2,45	2.05	4,2	1.11	1,54	1,37
24.00	5011	სარაგოსა-ბილბაო	2,7	2.05	3,6	1,16	1.54	1,3
		6 დეკემბერი						
16.30	5012	ნიუკასლი-ლივერპული	2,7	2,1	3,5	1,18	1,52	1,31
19.00	5013	ბირმინგემი-ბლეკბერნი	2,5	2,1	3,8	1,14	1,5	1,35
19.00	5014	ფულემი-ბოლტონი	2,25	2,1	4,8	1,08	1,53	1.46
19.00	5015	ლიდსი-ჩელსი	5,6	2,3	1,9	1,63	1,41	1.04
19.00	5016	ლესტერი-არსენალი	5,6	2,3	1,9	1,63	1,41	1,04
19.00	5017	მანჩესტერი-ასტონ ვილა	1,3	4,0	9,0	1	1,13	2,76
19.00	5018	მიდლსბრო-პორტსმუთი	2,15	2,15	5,0	1,07	1,5	1.5
19.00	5019	ტოტენჰემი-ვულვერჰემპტონი	1,95	2,25	5,6	1,04	1,44	1,6
18.30	5020	მიუნხენი-პანზა	2,15	2,15	5,0	1,07	1,5	1,5
18.30	5021	დორტმუნდი-პერტა	1,9	2.25	6,0	1.03	1,44	1.63
18.30	5022	შტუტგარტი-ჰამბურგი	1.85	2,3	6,0	1,02	1,41	1,66
18.30	5023	ვერდერი-ბაიერნი	3,0	2,1	3.2	1,23	1,54	1.26
18.30	5024	ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი	2,3	2,15	4,4	1,11	1,51	1,44
18.30	5025	აინტრახტი-პანოვერი	2,8	2,1	3,4	1,19	1.53	1,29
18.30	5026	ფრაიბურგი-ბოხუმი	2,45	2,1	4,0	1,13	1,51	1,37
21.00	5027	ემპოლი-მილანი	6,0	2,2	1,95	1.6	1,47	1,03
23.30	5028	ლაციო-იუვენტუსი	3,4	2,05	2.9	1,27	1.56	1,2
		7 დეკემბერი						
18.00	5033	ევერტონი-სიტი	2,7	2,1	3,5	1,18	1,52	1,31
20.05	5034	საუთჰემპტონი-ჩარლტონი	2,7	2,1	3,5	1,18	1,52	1,31
20.30	5035	კიოლნი-ლევერკუზენი	4,4	2,2	2,25	1,46	1,48	1.11
20.30	5036	შალკე-მიონხენგლადბახი	2,0	2,2	5,6	1,04	1,47	1,57
18.00	5037	ბოლონია-ანკონა	1,95	2,2	6,0	1.03	1,47	1,6
18.00	5038	ინტერი-პერუჯა	1,45	3,2	8,0	1	1,22	2,28
18.00	5039	ლეჩე-პარმა	3,8	2,0	2,7	1,31	1,57	1,14
18.00	5040	მოდენა-ბრეშა	2.4	2,0	4,6	1,09	1,57	1,39
18.00	5041	სამპდორია-სიენა	2,3	2,0	5,0	1,06	1,57	1,42
18.00	5042	უდინეზე-რეჯინა	2,05	2,15	5,6	1.04	1,5	1,55
23.30	5043	კიევო-რომა	5,0	2,15	2,15	1,5	1.5	1,07

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

			I-ში	თანაბრად	II-ში
		4 დეკემბერი			
24.00	5510	რასინგი-სევილია	3,0	2.8	2,0
24.00	5511	სარაგოსა-ბილბაო	3,0	2,8	2,0
		6 დეკემბერი			
16.30	5512	ნიუკასლი-ლივერპული	3,0	2.8	2,0
19.00	5513	ბირმინგემი-ბლეკბერნი	3,0	2.8	2.0
19.00	5514	ფულემი-ბოლტონი	3,0	2.8	2,0
19.00	5515	ლიდსი-ჩელსი	3,0	2,8	2,0
19.00	5516	ლესტერი-არსენალი	3.0	2.8	2.0
19.00	5517	მანჩესტერი-ასტონ ვილა	3,0	2,8	2,0
19.00	5518	მიდლსბრო-პორტსმუთი	3,0	2,8	2,0
19.00	5519	ტოტენჰემი-ვულვერჰემპტონი	3,0	2,8	2,0
18.30	5520	მიუნხენი-პანზა	3,0	2,8	2,0
18.30	5521	დორტმუნდი-პერტა	3,0	2.8	2,0
18.30	5522	შტუტგარტი-ჰამბურგი	3,0	2.8	2,0
18.30	5523	ვერდერი-ბაიერნი	3.0	2,8	2,0
18.30	5524	ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი	3,0	2,8	2,0
18.30	5525	აინტრახტი-პანოვერი	3,0	2,8	2,0
18.30	5526	ფრაიბურგი-ბოხუმი	3,0	2,8	2,0
21.00	5527	ემპოლი-მილანი	3,0	2,8	2,0
23.30	5528	ლაციო-იუვენტუსი	3,0	2,8	2,0
22.30	5529	ოსასუნა-სელტა	3,0	2,8	2,0
22.30	5530	დეპორტივო-მალაგა	3,0	2,8	2,0
22.30	5531	ხიხონელადი-ბეტისი	3,0	2,8	2,0
00.30	5532	ბარსელონა-რეალი	3,0	2,8	2,0
		7 დეკემბერი			
18.00	5533	ევერტონი-სიტი	3,0	2,8	2,0
20.05	5534	საუთჰემპტონი-ჩარლტონი	3,0	2.8	2,0
20.30	5535	კიოლნი-ლევერკუზენი	3,0	2,8	2,0
20.30	5536	შალკე-მიონხენგლადბახი	3,0	2,8	2,0
18.00	5537	ბოლონია-ანკონა	3,0	2,8	2,0
18.00	5538	ინტერი-პერუჯა	3,0	2.8	2,0
18.00	5539	ლეჩე-პარმა	3,0	2.8	2,0
18.00	5540	მოდენა-ბრეშა	3.0	2,8	2,0
18.00	5541	სამპდორია-სიენა	3,0	2,8	2,0
18.00	5542	უდინეზე-რეჯინა	3,0	2,8	2,0
23.30	5543	კიევო-რომა	3,0	2,8	2,0
20.00	5544	ალბაკეტე-რასინგი	3,0	2,8	2,0
20.00	5545	მალიორკა-ვალიადოლიდი	3,0	2.8	2,0
20.00	5546	მურსია-ეიბარი	3,0	2,8	2,0
20.00	5547	სევილია-სარაგოსა	3,0	2,8	2,0
22.00	5548	ატლეტიკო-ესპანიოლი	3,0	2,8	2,0
24.00	5549	ვალენსია-ბილბაო	3,0	2,8	2,0

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲑᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲑᲝᲚᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ

ტურნირი გატანილი გოლების რაოდენობა.

06.12 16.30	5601	ინგლისი ᲐᲚ (XV)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
06.12 18.30	5602	გერმანია ᲑᲚ (XV)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
06.12 21.00	5603	იტალია A (XII)	23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1.9
06.12 22.30	5605	ესპანეთი Iდ (XV)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
05.12 22.00	5606	საფრანგეთი Iდ (XVII)	21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1.9
05.12 23.00	5607	პორტუგალია სლ (XIII)	22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
05.12 23.30	5608	ბელგია Iდ (XV)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		4 დეკემბერი									
24.00	5110	რასინგი-სევილია	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	6,5	20,0	10,0	5,6
24.00	5111	სარაგოსა-ბილბაო	3,4	10,0	20,0	4,4	4,4	5,3	20,0	10,0	4,6
		6 დეკემბერი									
16.30	5112	ნიუკასლი-ლივერპული	3,5	10,0	20,0	4,4	4,4	5,0	20,0	10,0	4,4
19.00	5113	ბირმინგემი-ბლეკბერნი	3,1	10,0	20,0	4,0	4,4	6,0	20,0	10,0	5,3
19.00	5114	ფულემი-ბოლტონი	2,6	10,0	20,0	3,6	4,4	7,0	20,0	10,0	6,5
19.00	5115	ლიდსი-ჩელსი	9,0	10,0	20,0	10,0	4,6	3,4	20,0	10,0	2,1
19.00	5116	ლესტერი-არსენალი	9,0	10,0	20,0	10,0	4,6	3,4	20,0	10,0	2,1
19.00	5117	მანჩესტერი-ა.ვილა	1,4	25,0	50,0	3,5	6,0	20,0	30,0	20,0	20,0
19.00	5118	მიდლსბრო-პორტსმუთი	2,5	10,0	20,0	3,5	4,4	8,0	20,0	10,0	7,0
19.00	5119	ტოტენჰემი-ვულვერჰემ.	2,2	10,0	20,0	3,4	4,6	9,0	20,0	10,0	8,0
18.30	5120	მიუნხენი-პანზა	2,5	10,0	20,0	3,4	4,4	8,0	20,0	10,0	7,0
18.30	5121	დორტმუნდი-პერტა	2,0	12,0	25,0	3,4	4,6	10,0	20,0	10,0	9,0
18.30	5122	შტუტგარტი-ჰამბურგი	2,0	12,0	25,0	3,4	4,6	10,0	20,0	10,0	9,0
18.30	5123	ვერდერი-ბაიერნი	3,6	10,0	20,0	4,4	4,4	4,6	20,0	10,0	3,8
18.30	5124	ვოლფსბ.-კ.სლაუტერნი	2,7	10,0	20,0	3,6	4,4	7,0	20,0	10,0	6,5
18.30	5125	აინტრახტი-პანოვერი	3,5	10,0	20,0	4,4	4,4	4,8	20,0	10,0	4,0
18.30	5126	ფრაიბურგი-ბოხუმი	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	6,0	20,0	10,0	5,3
21.00	5127	ემპოლი-მილანი	9,0	10,0	20,0	10,0	4,4	3,4	20,0	10,0	2,3
23.30	5128	ლაციო-იუვენტუსი	4,0	10,0	20,0	4,8	4,4	4,4	20,0	10,0	3,6
		7 დეკემბერი									
18.00	5133	ევერტონი-სიტი	3,5	10,0	20,0	4,4	4,4	4,8	20,0	10,0	4,2
20.05	5134	საუთჰემპტ.-ჩარლტონი	3,5	10,0	20,0	4,4	4,4	5,0	20,0	10,0	4,4
20.30	5135	კიოლნი-ლევერკუზენი	6,5	10,0	20,0	7,0	4,4	3,6	20,0	10,0	2,6
20.30	5136	შალკე-მ.გლადბახი	2,3	10,0	20,0	3,4	4,4	7,0	20,0	10,0	6,5
18.00	5137	ბოლონია-ანკონა	2,2	10,0	20,0	3,4	4,4	10,0	20,0	10,0	9,0
18.00	5138	ინტერი-პერუჯა	1,5	25,0	50,0	3,4	5,6	17,0	25,0	17,0	17,0
18.00	5139	ლეჩე-პარმა	4,8	10,0	20,0	5,3	4,4	4,4	20,0	10,0	3,4
18.00	5140	მოდენა-ბრეშა	2,9	10,0	20,0	3,8	4,4	7,5	20,0	10,0	6,5
18.00	5141	სამპდორია-სიენა	2,7	10,0	20,0	3,6	4,4	8,0	20,0	10,0	7,0
18.00	5142	უდინეზე-რეჯინა	2,4	10,0	20,0	3,4	4,4	9,0	20,0	10,0	9,0
23.30	5143	კიევო-რომა	8,0	10,0	20,0	9,0	4,4	3,4	20,0	10,0	2,4

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ზაზა ფაჩულია თამაშამდე გადაიღალა

1 დეკემბერი

ორლანდო 94:100 ნიუ ორლეანი

ორლანდო: ლუ (7), გირიჩეკი (25), მაკგრეიდი (16 ქულა, 15 მოხსნა), ჰოვარდი (16), პანტერი; გუდენი (11 ქულა, 14 მოხსნა), სტრიკლენდი (7), ფაჩულია (20 წუთი, 4 ქულა, 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა), დეკლერკი (4), ბარი (1)

ნიუ ორლეანი: დევისი (21 ქულა, 11 პასი), ვესლი (17), ლინჩი (5), ბრაუნი (13 ქულა, 13 მოხსნა), მალუა (11); ვესტი (14 ქულა, 11 მოხსნა), არმსტრონგი (10), ტრეილორი (7), ოგმონი (2), რუქსი

დენვერი 115:103 კლივლენდი

დენვერი: მილერი (14), ლენარდი (13), ენტონი (26), ნენე (21 ქულა, 13 მოხსნა), ელსონი (6); ბერი (14), ანდერსენი (9), ბოიკინსი (8), ბოუენი (4), ვაიტი

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

კლივლენდი: ჯეიმსი (19), დევისი (17), ნიუბილი (4), ბუზერი (13) ილგაუსკასი (14 ქულა, 13 მოხსნა); ბრემერი (12), მაილზი (11 ქულა, 10 მოხსნა), ოლი (7), მიმი (6 ქულა, 12 მოხსნა), სტიუარტი

ფილადელფია 88:95 ტორონტო

ფილადელფია: აივერსონი (35)

ტორონტო: მარშალი (27), კარტერი (21)

ატლანტა 94:106 მილუოკი

ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (26), ტერი (23)

მილუოკი: რედი (26), სმიტი (18)

დალასი 97:72 ვაშინგტონი

დალასი: ჯემისონი (21)

ვაშინგტონი: ბიუზი (12)

„ორლანდო მეჯიქმა", რა თქმა უნდა, წააგო, ამჯერად ზაზა ფაჩულიას თანხლებით.

„რომ მათამაშებდნენ, დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ 20 წუთით მოედანზე ყოფნას, ნამდვილად არ ველოდი — გვითხრა ზაზამ როცა ნამატჩევს შინ დავუკავშირდით — მწვრთნელმა მოედანზე იმიტომ დამტოვა, რომ თამაშს იოლად ავუღე ალღო, ორი სროლა მიყოლებით ჩავაგდე და დაცვაშიც არ მიჭირდა. კარგი იყო, ძალა ბოლომდე გამოყოლოდა, მაგრამ მეორე ტაიმში აშკარად დავიღალე. დღეს 4 საათი არ გამოვსულვარ სატრენაჟოროდან, მძლეოსნობის მწვრთნელმა, მაინც არ გიწევს ხანგრძლივად მოედანზე ყოფნა და მიდი, კაცურად ვივარჯიშოთო. მეორე ტაიმში მხოლოდ 6 წუთი ვითამაშე, ძალიან დაღლილი ვიყავი და თამაშის რიტმში ველარ ჩავჯექი."

ჯონი დევისმა მართლაც უჩვეულოდ დიდხანს ათამაშა ქართველი ახალბედა. ზაზამ კარგადაც დაიწყო პირველად ენდრიუ დეკლერკის ნაცვლად რომ შეიყვანეს, მცირე ინტერვალით ორი ბურთი ჩააგდო და ამის გამო დევისმა მისთვის უხვად გაიმეტა წუთები. ფაჩულიას სწორედაც რომ სჭირდება სათამაშო პრაქტიკა, რათა მოედანზე თამამად გარჯას მიეჩვიოს. „ორლანდოსთვის" ამ კოშმარულ დღეებში მისთის, ცხადია, არავის სცხელა, მაგრამ აშკარაა, ზაზა ფაჩულია გაცილებით მეტი ღირებულების და პოტენციის მატარებელია, ვიდრე ახლა ჩანს.

„ორლანდომ" კი „ნიუ ორლეანთან" პირველ ნახევარში მოპოვებული 15-ქულიანი უპირატესობის მიუხედავად, წააგო და ერთ წაგებამდე მიუახლოვდა უფსკრულს, ზედიზედ 17 მარცხს. ალბათ გადაეშვება კიდეც ამ უფსკრულში, თუ ცოტა ხელი არ განძრიეს ლიდერებმა, თუნდაც ტრეისი მაკგრეიდიმ, რომელსაც ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ჰქვია, მაგრამ სხვა თანაგუნდელებისგან ზურგზე წაწერილი გვარით თუ გაარჩევთ.

ამასობაში კი კვლავ იმარჯვა ნიკა ცქიტიშვილის „დენვერ ნაგიტსმა". თავად ცქიტიშვილმა ზედიზედ მესამე მატჩი გამოტოვა, მაგრამ „დენვერმა" ახლა ისე ააწყო საქმე, რომ ერთი კაცის, მით უმეტეს, ცქიტიშვილის არყოფნა ბევრად ვერ დახევს უკან.

„დენვერი" „კლივლენდს" მეორედ შეხვდა, ამჯერად შინ და ისევ მოუგო. ხოლო დენვერელმა ახალბედამ კარმელო ენტონიმ კვლავ აჯობა კლივლენდელ სუპერბიჭუნა ლებრონ ჯეიმსს.

ჩვენი ოკეანგაღმელი კოლეგები უცილობლად გაითვალისწინებენ ამ დეტალებს, როცა სეზონის ახალბედას დასახელებას დააპირებენ. ერთი სიმაღლის, ოღონდ სხვადასხვა ამლუების მოთამაშე კარმელოსა და ლებრონს სადღეისოდ თითქმის თანაბარი საშუალო მაჩვენებლები აქვთ ქულებსა და მოხსნებში. ლებრონს შესამჩნევი უპირატესობა აქვს პასებში, რაც უფრო დახვეწილ გუნდურ თამაშად ჩაეთვლება, სამაგიეროდ, კარმელო უფრო ძლიერი გუნდის ლიდერია.

ასაკისთვის შეუფერებლად ადრე დაბრძენებული ბიჭები ცდილობენ, სტატისტიკა ყურებში გაატარონ და ამბობენ, ჩვენთვის მთავარი მოგებაა. ალბათ მათთვისვეა კარგი, ამას ადრეულადვე რომ მიხვდნენ.

თამაში ჯეიმსმა აშკარად უკეთ დაიწყო და თავის გუნდის 9:0 დაწინაურებაში ლებრონის წილი დიდი, მაგრამ მისმა გუნდმა მალევე დაკარგა უპირატესობა და ველარ შეძლო ბევრად გაწონასწორებელი „დენვერის" დევნა. კარმელო ენტონი კი უხეირო პირველი ტაიმის შემდეგ გამოფხიზლდა და სწრაფად აკრიფა ქულები — მარტო ბოლო მეოთხედში 10 მიითვალა და 26 ქულით მატჩის ბომბარდირიც გახდა. ჯეიმსს კი მხოლოდ 19 მოუგროვდა. ესეც არაა ურიგო შედეგი კაცისთვის, რომელიც 19 სროლიდან 13 ააცილებს.

კლივლენდურ მატჩშიც ენტონიმ 14:7 აჯობა თანატოლ ოპონენტს.

აღსანიშნავია, რომ „კლივლენდმა" ამ სეზონის მე-11 გასვლაც წააგო და თუ წინა სეზონის წაგებებსაც მივათვლით, ზედიზედ 32 საგარეო მარცხი გამოსდის, რაც მესამე უარესი შედეგია ასოციაციის ისტორიაში.

კოტე ყორღია



ნიუორლეანელმა ფიჭეი ბრაუნმა ზაზა ფაჩულიას ეს ბურთი არ ჩააგდებინა



REUTERS დენვერიდან

კლივლენდელი ლებრონ ჯეიმსისა და დენვერელი კარმელო ენტონის დაპირისპირება მეორედაც მეორემ მოიგო

საქართველოს ჩემპიონატი

3 დეკემბერი. ვერის ბაღი

როდის განათდება?

ვერის ბაღმა ზამთარი უშუქოდ დაიწყო

დინამო 97:75 თსუ

12:19, 27:13, 25:12, 33:31

დინამო: ჟღენტი (10), ხოშტარია (16), ბეჟანიშვილი (24), მინაშვილი (12), მუშკუდიანი (5); გამყრელიძე (1), ტულუში (20), ლოსაბერიძე (1), კეიდია, ჩუბინიძე (8)

თსუ: თორთლაძე (4), მაისურაძე (8), ნაცვლიშვილი (12), კილაძე (12), შენგელია (19); ლეჟავა, ფანჩულიძე (3), მარხვაშვილი, ვეფხვაძე (1), სანიკიძე, ორმოცაძე (2), კოკოლიშვილი (14)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურციძე

მაკაბი 101:122 სტუ

25:23, 20:42, 34:30, 22:27

მაკაბი: ნინოშვილი (6), ტატუნაშვილი (5), კაშია, ნოწელია (34), ვაშაკიძე (19), ოთიურიძე (7), სუხიშვილი (21), კონჯარია (9)

სტუ: ქისტაური (2), ბაბიაშვილი (10), გაგნიძე, ხეცურიანი (17), ნიკოლაძე (19), მიქაძე (8), ოგანესიანი (21), მარკოიშვილი (11), ლაფანაშვილი, დავითულიანი (10), ახალკაცი (10), შანიძე (14)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ გელოვანი

ცოტაც და „დინამო" — „თსუ"-ს საცქერლად ვერის ბაღში მოსული ხუთასამდე გულშემატკივარი თავის გზას გაუყვებოდა, მაგრამ უკანასკნელ წამს მოსულმა ელექროენერგიამ კალათბურთელებს მოედანზე უხმო და დარბაზი აახმაურა.

მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ვერის ბაღში ამხელა აუდიტორია არც ერთ საამსეზონო შეხვედრას არ მოუზიდავს. ხალხს მომძლავრებული თსუ-ს ჩემპიონთან ჯახი აინტერესებდა, მაგრამ თვალსასეიროს ბევრს ვერფერს გამორჩა. პირველი ტაიმი თანაბარი იყო, მეორეში კი „დინამომ" პირწმინდად დაჩაგრა სტუდენტობა.

თამაშზე საუბარს მეორე ტაიმიდან დავიწყებთ, რადგან საკვანძო სცენა სწორედ დიდი შესვენების შემდეგ გათამაშდა. „დინამომ", რომელიც მთელი პირველი ნახევარი ცდილობდა, თამაში უკანახაზელებზე აეწყო, მესამე მეოთხედში როგორც იქნა, გაარღვია სტუდენტთა დაცვის ხაზი და ორნიშნა უპირატესობასაც მიაღწია.

„დინამოს" უკანახაზელებმა — ხოშტარიამ, ტულუშმა და ფორვარდმა ბეჟანიშვილმაც დრო იხელთეს. მანამდე ამათ არც შორი სროლები მისდიოდათ და გარღვევებსაც ვერ ახორციელებდნენ. პირველ ტაიმში უმეტესწილად თსუ-ს ულხინდა, კახა შენგელიას დინამოელთაგან ფარქვეშ კონკურენტი არ გამოსჩენია და სტუდენტებიც კარგა ხანს ლიდერობდნენ.

ჰოდა, როცა მეორე ტაიმის დასაწყისიდან ჩემპიონთა უკანახაზელებმა იძალეს, თსუ-ს მწვრთნელმა გია ჯავახიშვილმა მანამდე ყოჩაღად მობურთალი შენგელია მოედნიდან გაიხმო, გადაწყვიტა, „დინამოს" უკანახაზელებითვე შევებრძოლებიო. სტუდენტებს მანამდე აშკარა უპირატესობა ჰქონდათ ფარზე, რაზეც თავისით თქვეს უარი და თავადაც დაბლებზე გადაიტანეს აქცენტი.

თსუ არ უჩივის გამთამაშებლებს, მაგრამ ვერც თორთლაძემ და ვერც მაისურაძემ სამიზნე ვერ გაისწორეს. 20 ქულით ჩამორჩენილმა სტუდენტებმა ბოლო მეოთხედიდან პრესინგისმაგვარი წამოიწყეს და ორიოდ წუთით ოდნავ ამოისუნთქეს, მაგრამ ხოშტარია, ჟღენტი და სხვა ფეხმარდი დინამოელები ხომ სწორედ სწრაფი თამაშისას გრძნობენ თავს კომფორტულად. ჰოდა, სტუდენტურმა პრესინგმა ეფექტი მალევე დაკარგა, „დინამოს" 20-ქულიანი უპირატესობაც აღდგა და თსუ-ს ბრძოლისუნარიანობასაც წერტილი დაესვა.

გუშინ უშუქობამ მინც ჩაშალა ერთი მატჩი. „სტუ-ჯეოსელმა" „მაკაბის" მოუგო თუ არა, დარბაზში დენი გამოირთო და სსუ — „რუსთავის" შეხვედრა 13 დეკემბრისთვის გადიდო.

ირაკლი პერტაია



ალექს ფანჩულიძეს ბრალდ

დინამოელმა ვაჟო ბეჟანიშვილმა თსუ-ს 24 ქულა ჩაუგდო

სატურნირო მიმოხილვა					
დინამო	12	10	2	+237	22
თსუ	12	8	4	+75	20
სტუ	11	8	3	+184	19
გასკო	10	8	2	+238	18
რუსთავი	11	6	5	+25	17
მაკაბი	11	4	7	-67	15
სსუ	12	2	10	-270	14
ქუთაისი	13	0	13	-422	13

საჩოგნეთში წიწილები ზამთარში ჩამოთვალეს

ნადეგისფინალეგს საჩოგნეთში წიწილებს ითვლიან -- სტატისტიკოსები ფაქტებს აჯამებენ და სეზონის გამოსამშვიდობებელ რევიუებს სწერენ. საერთო აზრი ისეთია, რომ წელი მართლაც რიგიანი გამოდგა და ჩოგბურთის ტრფიალთაც არაფერი უნდა დაეჩივლებოდეთ. ამგვარი მოსაზრების სისწორეში, სხვა რომ არაფერი იყოს, აქვე წარმოდგენილი სიებიც დაგარწმუნებთ, რომელთაც ჩვენი მცირე კომენტარებიც დაერთვის

თუკი საქმეში ჩახედული მკითხველი ბრძანდებით, შეხსენება აღარ გჭირდებათ — ხუთიდან ორი „12-თვიანი მორავი“ ანუ „განთესვის“ სიებია, ორიც წლის განმავლობაში ყველაზე მეტი დოლარის მომხვეჭ მეჩოგნეთა ჩამონათვალი, ხოლო მეხუთე გახლავთ კაცთა ჩემპიონთა რბოლის დამაგვირგვინებელი ნუსხა.

მაშ ასე — ალბათ კაცები არ გაგვიწყრებიან, თავდაპირველად მდედრიონზე თუ მოგახსენებთ.

პირველი სადლეგრძელო აქ, განსხვავებით წინა სეზონისგან, უთუოდ ბელგიურ სუპერწყვილს, ძლევამოსილ უილიამსთა შეუცილებელი ზეობის დამამხობელ ჟუსტინ ენენ-არდენსა და კიმ კლაისტერსს ეკუთვნით.

ბუთქუნა კიმმა წლეულს 15 ფინალში ითამაშა, 9 ტიტული მოიხვეჭა და გახდა პირველი სპორტსმენი ქალი, ერთი სეზონის განმავლობაში 4 მილიონ დოლარზე მეტი რომ იშოვა. მის საამსეზონო პიკად 4 აგვისტოს მიიჩნევენ, როცა მან სერენა უილიამსისგან ამქრის პირველოსნობა გადაიბარა.

თვისტომ ენენ-არდენისთვის როლანგაროსული და ნიუიორკული სლემფინალებიდან ერთ-ერთი მაინც რომ მოეგო, ის სეზონსაც დასტურ პირველოსნადვე გაასრულებდა და საერთოდაც მაგარი გოგო იქნებოდა. მაგრამ საქმეც სწორედ ეგაა, რომ კიმმა ჟუსტინისთან ორივე გადამწყვეტი მატჩი დათმო.

და, იმის მიუხედავად, რომ ჭინკა ჟუსტინს წლის დამლევს კიმზე ერთი ნაკლები ტიტული დაუგროვდა, ორმა სლემჯილდომ თავისი ქნა — მომავალ სეზონს არდენზე გათხოვილი ენენ ლაზიერად დაიწყებს.

სხვათა შორის, ჟუსტინი პირველი ბელგიელია, რაგინდარა სლემტურნირის მოგება რომ მოახერხა.

რაც შეეხებათ შავდა უილიამსებს, ბელგიელი მეტოქეების გარდა მათი პოზიციები მათმავე ხალვათმა ანუ მცირეტურნირიანობამ გარიგებამ და ტრავმიანობამაც შეარყია.

არადა, წელი მათ ავსტრალიის ღია პირველობაზე ზედიზედ მეოთხე სლემფინალით დაიწყეს და ღია ტურნირების ერაში ამის მიმღწევი პირველი წყვილი გახდნენ.

ამგვარი რამ მათ მოგვიანებით უიმბლდონზეც გაიმეორეს და აქაც, ისევე როგორც წინა ოთხ ჯერზე, გამარჯვებული სერენა დარჩა.

ამ ორი ბობოლა ტიტულის გარდა სერენამ კიდევ პარიზსა და მაიამიშიც იმარჯვა, ვინუსს კი 2003 წლის კეთილ მოგონებად ოდენ ანტვერპენული ნადავლი დარჩება.

ისე კი დებს ივლისის მერე აღარ უჩოგნავიათ — უმცროსს მარცხენა მუხლმა გაუჭმახა, უფროსს კი ქვედამუცლის კუნთმა.

თბილი სიტყვები ერგება მამალ ფრანგ ამელი მორესმოს, ვინაც წელი ტრავმებით კი დაიწყო, მაგრამ მაინც პირადსარეკორდო მეოთხე საფეხურზე ჩაამთავრა. კენტად მან ორი — ვარშავული და ფილადელფიური ტიტული მოიმკა და ლომის წვლილი დაიდო ფრანგთა მიერ ფედერაციის თასის მოგებაში. და კიდევ — მან წლეულს ერთადერთმა შეძლო, ორივე და უილიამსი დაემარცხებინა. ასეთი რამ შარშან მხოლოდ კიმ კლაისტერსმა გაახერხა, შარშანწინ კი — მარტინა ჰინგისმა.

ხოლო სანამ კაცთა სეზონის მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, რუსი ქალებისაც უნდა ვთქვათ. მათი პროგრესი აშკარაა და მათი ჩოგნები ხალთებში აღარ იმალება.

სკვით მენადებს ანასტასია მისკინა ლიდერობს — წლეულს მის ანგარიშზე ოთხი ტიტულია (დოჰა, სარასოტა, ლაიპციგი, მოსკოვი). მას სამი ჯილდოს მომქუჩებელი ელენა დემენტიევა მოჰყვება, კარიერის პირველი ორ ტიტული მოიპოვა მსოფლიო ჩოგბურთის ამომავალმა სექსრიჟრაჟმა მარია შარაპოვამაც, ხოლო დინარა საფინამ, ვის ძმა მარატსაც მთელი სეზონი ტრავმების გამო წამურდლა, რუსული ყულაბა ერთი ტიტულით შეავსო.

ახლა კაცებზე.

მათ სამსავე სიაში პირველი ოთხი ადგილი იმ მეჩოგნებს უპყრიათ, რომელთაც წლევანდელი სლემტურნირები მოიგეს.

თანმიმდევრობა — როდიკი, ფედერერი, ფერერო, აგასი — ამ სამიდან მხოლოდ მეფულეთა ჩამონათვალშია დარღვეული. იქ ფედერერი როდიკის წინ დგას და ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ზორბა ალპელმა ზედ სასეზონო ფარდის დაშვების წინ, წლის შემაჯამებელ, ჰიუსტონურ მასტერსთასზე მოგებისათვის ჩაროზად 1,52 მილიონი დოლარი მიიღო.

ფედერერი მართლაც საუცხოო ოსტატია და წლეულს ყველაზე მეტ, 78 მატჩთან ერთად ყველაზე მეტივე, შვიდი ტიტულიც მოინაგრა. ამათგან გამორჩევას, ცხადია, უიმბლდონური ალაფი იმსახურებს.

თუმცა როდიკს, ვინაც წელი მასზე ერთით ნაკლები ტიტულით გაასრულა, ჯამში მაინც უფრო მეტი ქულა დაუგროვდა, რაკიღა შვეიცარიელის სამი ნახევარფინალის წილ ექვს ნახევარფინალს უწია — აქედან ორი ავსტრალიის ღია პირველობასა და იმავ უიმბლდონზე იყო.

წლის დასაწყისში ენდიბოის ამგვარ აღზევებას არავინ ელოდა. მილეთს ისიც კი ეეჭვებოდა, შეძლებდა თუ არა ეს ნიჭიერი და უზორბესად მოყუმბარე ჭაბუკი სამპრასაგასიანთა დიადი თაობის მიერ დანატოვარი მემკვიდრეობის ზიდვას.

ამ თვალსაზრისით გარდამტეხი ენდის ბრედ გილბერტთან დამოწყება გამოდგა. ამაგდარი მწვრთნელის ხელი შეეგრძლ უკვე როლანგაროსამდე დაეტყო, როცა მან ავსტრიულ ზანკტპიოლტენში კარიერის პირველი „ამერიკისგარე“ და ისიც თიხნარტიტული მოირეწა.

ამას ქუინზკლაბურ ბალახტურნირზე წარმატებაც მოჰყვა. მწვერვალების დაპყრობა კი ზაფხულში დაიწყო, როცა ენდიმ მიჯრით იმარჯვა კანადურსა და ცინცინატურ მასტერსტურნირებზე და მერე აშშ-ის ღია პირველობაზე კარიერის პირველი სლემტიტულიც იშოვა.

ენდი გახდა უმრწემესი ამერიკელი იმათგან, ვინაც კი სეზონის ბოლოს რეიტინგიის სათავეში მდგარა. ამ წლიდან კი ის ერთ, ამჯერად ზიარ რეკორდსაც გაიყოლებს — ივნისში, ქუინზკლაბურ კონდარზე ჩოგნაობისას მის მიერ მოწოდებულმა ბურთმა საათში 239,7 კილომეტრის სიჩქარით გაიქროლა, რაიც მანამდე მხოლოდ გრეგ რუზეკის მოეხერხებინა.

როდიკისა და ფედერერის გარდა წლევანდელ საჩოგბურთო მთავარსათაურებში ხშირად ჩანდნენ ხუან კარლოს ფერერო და ანდრე აგასიც. ფერერის ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა — მან ოთხი ტიტული მიითვალა და ზემოთჩამოთვლილ მისთაობელთა დარად კარიერის პირველ სლემტიტულსაც შესწვდა როლან გაროსზე.

21 მარცხის წილ ფერერომ სეზონი 67 გამარჯვებით გადაწონა, რაც ასევე პირადი რეკორდია. ამ 67-დან 33 მან თიხნარზე მოიგო, 30 — მაგარსაფარზე და ამით ივან ლენდლის მიერ 1980 წელს მიღწეული შედეგი გაიმეორა. იმის შემდეგ ორსავე საფარზე სულ მცირე 30 შეხვედრა აღარავის მოუგია.

ფერერო ასევე გახდა პირველი ესპანელი მანუელ ორანტესის (ანუ 1975 წლის) შემდეგ, აშშ-ის ღია პირველობის ფინალში რომ გავიდა. სხვათა შორის, ნაიმფინალევს ის კარიერაში პირველად ამაღლდა ამქრის პირველსაფეხურამდე, რომლიდანაც ანდრე აგასი დააქვეითა.

ანდრემ თავის მხრივ რეიტინგიის სათავიდან II მაისს ლეიტონ ჰიუიტი აოტა და, რაკიღა საიმმომენტოდ 33 წლისა და 13 დღის იყო, ამქრის უმხცოვანესი პირველოსანი შეიქნა.

შებერებულმა არმენოამერიკელმა სეზონი ავსტრალიის ღია პირველობაზე კარიერის მერვე სლემტიტულის მოხვეჭით დაიწყო და ამას მერე ჰიუსტონის, მაიამისა და სან ხოსეს ჯილდოებიც მიუმატა. მართალია, წლის მეორე ნახევარში მეტი აღარაფრისთვის მიუღწევია, მაგრამ რვაკაცა მასტერსთასში მოსახვედრი ქულები მაინც დააგროვა და თავისი 18-წლიანი კარიერის უკვე მე-14 წელი გაასრულა ზეათეულში.

რაც შეეხება ჰიუიტს, ჩოგბურთის მამებთან კინკლაობისა და განრიგის შეხალვათების გამო მას მოტივაციაც გაუნელდა და ჯიგარიც. თუმცა ადრესეზონში მოგებული ორი — ინდიანუელსური და სკოტსდეილური — ტიტულების გარდა სულ ახლახანს პირველ დევისთასსაც დაეწაფა, რაიც ოზებმა უწინარესად სწორედ მისი კისკასი ჩოგნაობის წყალობით მოიგეს.



ეს სეზონი გამოგნებელი გამოდგა ენდი როდიკისთვის

სავარაუდოა, რომ მომავალ სეზონს ის კვლავაც აფრებაშვებული შეეგებება და მოყინჩებულ თანაკბილებსაც უშეუპოვრეს მეტოქეობას გაუწევს.

სხვაფრივ — წლის უდავო აღმოჩენად არიან მისაჩნევნი 27 წლის გერმანელი რაინერ შუტლერი და მასზე 6 წლით უმცროსი არგენტინელი გილერმო კორია.

ერთმაც და მეორემაც სეზონი რეიტინგიათა წიაღებიდან დაიწყეს, მაგრამ წლის მსვლელობისას დახვეწილ, ძალზედ სტაბილურ ოსტატებად მოგვევლინენ. გერმანელმა ასზე ერთით მეტი მატჩი გამართა და აქედან 70 მოიგო, რაიც ლიონური და ტოკიური ტიტულებით დაამშვენა. გაუჩომ კი 16 მარცხის სანაცვლოდ 60 შეხლაში იმარჯვა და სეზონი 5 ტიტულით ჩაიგვირისტა.

ლევან კელაურაძე

ჩემპიონთა რბოლა

1	როდიკი	907
2	ფედერერი	875
3	ფერერო	841
4	აგასი	685
5	კორია	666
6	შუტლერი	641
7	მოია	456
8	ნალბანდიანი	412
9	ფილიპუსისი	323
10	გროჟანი	322
11	შრიჩაფანი	319
12	ნოვაკი	302
13	ელ აინაუი	296
13	ჰენმანი	296
15	კუერტენი	294
16	ჰიუიტი	290
17	შალკენი	285
18	მასუ	278
19	ფერკერკი	268
20	ფიში	260

ვაჭები — 12-თვიანი მგზავრი რეიტინგსიები — ქალები

ვაჭები			ქალები		
1	ენდი როდიკი (აშშ)	45.35	1	ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია)	6628
2	როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	43.75	2	კიმ კლაისტერსი (ბელგია)	6553
3	ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	42.05	3	სერენა უილიამსი (აშშ)	3916
4	ანდრე აგასი (აშშ)	34.25	4	ამელი მორესმო (საფრანგეთი)	3194
5	გილერმო კორია (არგენტინა)	33.30	5	ლინდსი დევენპორტი (აშშ)	2990
6	რაინერ შუტლერი (გერმანია)	32.05	6	ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	2766
7	კარლოს მოია (ესპანეთი)	22.80	7	ანასტასია მისკინა (რუსეთი)	2581
8	დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	20.60	8	ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2383
9	მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)	16.15	9	ჩანდა რუბინი (აშშ)	2328
10	სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი)	16.10	10	აი სუგიამა (იაპონია)	2235
11	პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი)	15.95	11	ვინუს უილიამსი (აშშ)	2211
12	ნიკოლას მასუ (ჩილე)	15.59	12	ნადია პეტროვა (რუსეთი)	1994
13	ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი)	15.10	13	ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1808
14	იუნეს ელ აინაუი (მაროკო)	14.80	14	პაოლა სუარესი (არგენტინა)	1526
14	ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი)	14.80	15	ელენა დოკიჩი (იუგოსლავია)	1405
16	გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	14.70	16	ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (ისრაელი)	1353
17	ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	14.50	17	მეგან შონესი (აშშ)	1350
18	სხენგ შალკენი (ჰოლანდია)	14.45	18	კონჩიტა შარტინესი (ესპანეთი)	1316
18	მარტინ ფერკერკი (ჰოლანდია)	14.45	19	დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	1271
20	მარდი ფიში (აშშ)	13.00	20	ფრანჩესკა სკიავონე (იტალია)	1265

ვაჭები — მეფულეები — ქალები

ვაჭები			ქალები		
1	ფედერერი	4 000 680	1	კლაისტერსი	4 466 345
2	როდიკი	3 227 342	2	ენენ-არდენი	3 667 430
3	ფერერო	3 026 760	3	ს. უილიამსი	2 504 871
4	აგასი	2 530 929	4	კაპრიატი	1 942 015
5	კორია	1 971 162	5	დევენპორტი	1 632 909
6	შუტლერი	1 875 002	6	მორესმო	1 560 341
7	მოია	1 322 935	7	სუგიამა	1 254 283
8	ნალბანდიანი	1 280 383	8	ვ. უილიამსი	1 126 555
9	მაქს მირნი (ბელარუსი)	1 271 347	9	სუარესი	1 050 691
10	იონას ბიორკმანი (შვედეთი)	1 085 932	10	მისკინა	1 025 355
11	ნოვაკი	932 786	11	რუბინი	945 288
12	ფილიპუსისი	931 963	12	დემენტიევა	869 740
13	ჰენმანი	921 609	13	დოკიჩი	824 798
14	ფერკერკი	879 616	14	ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი)	810 166
15	ჰიუიტი	873 598	15	პეტროვა	686 794
16	მასუ	814 391	16	ჰანტუხოვა	579 804
17	შრიჩაფანი	794 362	17	ლიზა რეიმონდი (აშშ)	569 070
18	ელ აინაუი	783 849	18	სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	564 484
19	ფელიქს მანტია (ესპანეთი)	781 218	19	ზვონარიოვა	502 712
20	გროჟანი	780 607	20	მარტინესი	496 178

გაგონილი და ფილმებში ნანახი მაინც გექნებათ, რა არის „ოსვენციმი" – ფაშისტების ყველაზე სისხლიანი საკონცენტრაციო ბანაკი მეორე მსოფლიო ომის დროს, სადაც ჰიტლერის დამქაშები განსხვავებული თავის ქალის მოყვანილობისა ხალხს წამება-დამცირებაში ხდიდნენ სულს. ეს პოლონეთში, 60-65 წლის წინ ხდებოდა, ქვემორე ამბავი კი ახლახან სამხრეთ აფრიკაში მოხდა



რაღა ჰიტლერი და რაღა რუდი სტრაული. „ქურციკები" მწვრთნელს დესპოტობაში ადანაშაულებენ

მწვრთნელი კი არა სერჟანტი ყოფილა

რუდი სტრაულის შეგირდები სასამართლოთი იმუქრებიან

ეს ამბავი სისასტიკით და უღმერთობით თავისთავად ახლოსაც ვერ მივა სამოცი წლის წინანდელთან, თუმც სამხრეთაფრიკული, არამარტო სამხრეთაფრიკული და არამარტო სპორტული საინფორმაციო საშუალებები ამ ამბავს განსაკუთრებული მონდომებით ახმაურებენ.

საქმე სამხრეთ აფრიკას ნაკრების სამსოფლიოთასო მზადებას, მეტად, კი მის მწვრთნელს რუდი სტრაულის ეხება. სტრაულიზე დაწერილმა ნაკვესებმა, სადაც „ქურციკების" მწყემსი ჰიტლერთან არის გაიგივებული, უკვე წალეკა სამხრეთაფრიკული პრესა.

აქამდე ნაცნობ ფაქტებს მოკლედ, შეგახსენებთ: სამხრეთაფრიკელმა მორაგბემ, შავკანიანმა ბრეიტონ პოლსემ თქვა, რომ სტრაული რასისტია და ამასთან სადისტიც. ფაქტები: სტრაული მორაგბეებს გაყინულ წყალში ყელამდე ჩასვლას და პირით რაგბის ბურთის გაბერას აიძულებდა. ეს პრეტორიასთან ახლოს „კემპ სტაალდრაადში" ხდებოდა. კიდევ სტრაულიმ გუნდში „დედოვშინა" დაამყარა და შავკანიან მორაგბეებს აგდებულად ეპყრობოდა.

„კემპ სტაალდრაადი" სამხედრო ბაზაა, სადაც სამხრეთ აფრიკაის ნაკრები ემზაყებოდა. „ქურციკები" ყაზარმულ რეჟიმზე იყვნენ, სტრაული დილის 7 საათზე ქვაღორღიან ნიადაგზე არბენინებდა ფეხშიშველა მორაგბეებს, შემდეგ კი სამხედროების საქმეს აკეთებინებდა, კერძოდ, სანგრების გათხრა, სატანკო მძიმე ნაწილებს გადაადგილება და საარტილერიო ჭურვების კილომეტრებზე გადატანა მორაგბეების გასაკეთებელი შეიქნა. ახლახან გაირკვა, რომ სტრაულიმ არც მსოფლიოს თასზე მოიშალა მორაგბეების „გაკაჟება" — ყოველი მატჩის წინ ნახევარი საათით ადრე ცივი შხაპის მიღებას აძალებდა.

ბრეიტონ პოლსე ჯერჯერობით ერთადერთია, ვინც სტრაულის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა. თან პოლსე ამბობს, ჩემს უკან სხვებიც დგანან, რომლებიც ჯერ ჩრდილში არიან, მაგრამ საჭირო დროს პირზე დაადგებიან სტრაულისო. საჭირო დრო კი დღესაა, როდესაც სტრაული სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის წინაშე საანგარიშო მოხსენებით უნდა წარდგეს.

ბუნებრივია, პოლსეს ნაამბობი ჟურნალისტებმა ყურებში არ გაატარეს და თავიანთი გამოძიება წამოიწყეს. მათ მოძებნეს „კემპ სტაალდრაადის" მავანი პოლკოვნიკი, რომელიც ადასტურებს, მორაგეებისთვის ყაზარმას ნაწილი გამოვყავით, მაგრამ მზადების დეტალებზე ვერაფერს მოგახსენებთო.

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის მავანი მოხელე კი აცხადებს, რომ სტრაული უკვე მოხსნილია თანამდებობიდან და მისი დასკვნითი მოხსენება ფორმალობაა და მეტი არაფერი.

პოლსე კი არ ცხრება — „ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი ფოტოკორესპონდენტის გადაღებული კადრები, სადაც ნათლად ჩანს, სად და როგორ ეემზადებოდით. ეს ფირი კარგად არის დაცული და როგორც ნივთმტკიცება რაგბის კავშირში კი არა სასამართლოში გამოგვადგება. დიახ, სასამართლოში, რადგან სტრაული კრიმინალია და არა უიღბლო მწვრთნელი."

ერთი სიტყვით, ამ ამბავს გაგრძელება ექნება. ჩვენ კი ის ვთქვათ, ჩვენებური ბორჯღალოსნები კიდევ კარგად გადაურჩნენ გამგელებულ და გაბოროტებულ აფრიკელებს.

ბაჩო სვანიძე

არ უნდა დაძალაა

დეზერტირობა რუსულ არმიაში

რა ხანია, დაიშალა საბჭოთა კავშირი, სოციალიზმიც ჩაბარდა ისტორიას და სულ სხვაგვარი ურთიერთობები დამყარდა დასავლეთსა და რუსეთს შორის, მაგრამ ნჰლ-სა და რუსეთის ჰოკეის ფედერაციას ცივი ომი ჯერაც არ დაუსრულებიათ

1989 წელს ალექსანდრ მაგილნიმ პირველმა გაბედა და მიატოვა სამშობლო, რათა ნჰლ-ში ეცადა ბედი. ეს ღალატის ტოლფასი იყო და დღემდე მის საქციელს რუსეთში არაერთგვაროვნად აფასებენ. ამას სერგეი ფიოდოროვისა და სხვა რამდენიმე ნაკლებცნობილი ჰოკეისტის გაქცევა მოჰყვა. ბოლო ხანს თითქოს ყველაფერი ჩაწყნარდა, მაგრამ როგორც ჩანს, მხოლოდ დროებით. ამ დღეებში ხალხი ახალმა მიგრაციამ აალაპარაკა.

2003 წლის ივნისში „კოლუმბუსმა" დრაფტზე ოთხ ნომრად ნორჩი რუსი ნიკოლაი ჟერდევი ირჩია და თითქოს ორივე მხარე იყო დაინტერესებული იმაში, რომ ჰოკეისტს რაც შეიძლება მალე დაეწყო ასპარეზობა ნჰლ-ში. მან 3-წლიანი კონტრაქტიც გააფორმა „კოლუმბუსთან", მაგრამ მერე კი თავისი კლუბის, ცსკა-ს თავკაც ვიქტორ ტიხონოვის რჩევით (თუ ზეწოლით), რუსეთში დარჩენა ამჯობინა. გარდა ამისა, 18 წლის ჟერდევს ჯარი უწევდა და იგი ცსკა-ს სპორტროტაში ჩარიცხეს. თითქოს ყველაფერი მოწესრიგდა, მაგრამ მოულოდნელად კვირას ნიკოლაიმ ჩუმად დატოვა მოსკოვი და კანადაში გაფრინდა.

იმავე დღეს მას აშშ-ს ვიზა გაუფორმეს და სამშაბათს ჟერდევმა „კოლუმბუსის" რიგებში პირველი თამაშიც ჩაატარა. ნიკოლაი ძალიან თბილად მიიღეს ახალ კლუბში და მისმა თამაშმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. განსაკუთრებით მის მაღალ ტექნიკასა და სისწრაფეს აღნიშნავენ. კინაღამ გოლიც გაიტანა, მაგრამ „ანაჰაიმის" მეკარე მარტინ გერბერი ვერ მოატყუა.

„დღეს ძალიან კომფორტულად ვგრძნობდი თავს. ტრიბუნებზე პლაკატები შევნიშნე წარწერით: „კეთილი იყოს შენი მობრძანება!" მოკლედ, აქ ყველაფერი მომწონს" — თქვა ჟერდევმა მატჩის შემდეგ.

ჟერდევი კი გრძნობს თავს კარგად, მაგრამ ცსკა-ს ხელმძღვანელობა არ აპირებს დანებებას. კანონიც რუსების მხარეზეა. ჟერდევი სამხედროა და მისი თამაში „კოლუმბუსში" ნამდვილი დეზერტირობაა. თანაც ჰოკეისტს, რომელმაც უკვე ითამაშა რომელიმე ევროპულ პირველობაში, არ შეუძლია წლეულს ნჰლ-ში ასპარეზობა. ამის თაობაზე ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ (NHF) უკვე ამცნო ნჰლ-ის მესვეურებს. მეორე მხრივ, „კოლუმბუსის" ოფიციალური პირები და აშშ-ს იურისტები აცხადებენ, რომ კლუბმა უკვე გადაუხადა ცსკა-ს კომპენსაცია. ასე რომ, რუსებს ჟერდევის კლუბში დატოვების უფლება არ ჰქონდათ.

როგორ დასრულდება ეს ჩახლართული საქმე, ძნელი წარმოსადგენია. ეგებ საარბიტრაჟო სასამართლოც დაინიშნოს. ერთი რამ კი ცხადია, უკვე დიდი ხანია, ჟერდევს გული აღარ უდგება ცსკა-ში და ალბათ ჯობდა, თავიდანვე გამოენახა ამ ორ მხარეს საერთო ენა. ახლა ჟერდევი ალბათ აღარ დაბრუნდება რუსეთში, ნჰლ-სა და ევროპული ფედერაციების ურთიერთობაში კი კიდევ ერთი შავი ლაქა გაჩნდა.

ცნობისათვის, ჟერდევი ყველა გათვალისწინებულ პრემიასთან ერთად 3 წელიწადში 11 მილიონ დოლარს მიიღებს.

საბველ ღარიბიანი

მსოფლიოს ჩემპიონატი. ბალი

ბორბატია 2-14 დეკემბერი

ჩია სანმა რუსებზე არ ამღერა

პირველი ტური

რუსეთი 28:27 კორეა
სირბეთი 41:18 ავსტრალია
უნგრეთი 43:25 კუბა დომუარი
იაპონია 30:24 ტუნისი
ჩეხეთი 46:16 ურუგვაი
სლოვენია 32:25 ბრაზილია
სლოვაკეთი 34:26 ჩინეთი
ნორვეგია 29:30 უკრაინა
ავსტრია 29:19 ანგოლა
საფრანგეთი 28:25 ესპანეთი
რუმინეთი 43:13 არგენტინა
დანია 20:20 ბერძნეთი

ჩემპიონატი უზარმაზარი სენსაციით დაიწყო: უკრაინის ნაკრები, რომელიც შარშანდელ ევროპირველობაზე ათეულშიც კი ვერ მოხვდა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ნორვეგიას მოერია.

მართალია, ექვსგუნდა ჯგუფებიდან პირველობისთვის ბრძოლას სამსამი საუკეთესო გააგრძელებს და ამდენად, სკანდინავიელებს საფრთხე არ ემუქრებათ, მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ მეტოქეებს ურთიერთშეხვედრათა შედეგები მეორე ეტაპზე გადაჰყვებათ. ერთი სიტყვით, უკრაინელებმა გასვლა ლამის უკვე გაინაღდეს და თან ორი „ოქროს" ქულაც წაიყოლეს. თამაშში გარდამტეხი გახდა პირველი ტაიმის ხუთწუთიანი მონაკვეთი, როდესაც ვიცე-ჩემპიონები სამარცხვინოდ ჩაფლავდნენ — სლავებმა მათ ხუთი უპასუხო გოლი გაუტანეს, ტაიმიც მოუგეს — 15:12 და ბოლოს მატჩიც, თუმც გაჭირვებით. გამორჩეულად უნდა აღინიშნოს 28 წლის ოლენა ციგიცას შედეგიანობა, რომელმაც ცხრაჯერ დალაშქრა მოწინააღმდეგის კარი.

მოულოდნელად, ერთ-ერთ ფავორიტ ხორვატიას მედგრად გაუჭალიანდა ისერა გაქანების ბრაზილია და ტაიმი თავის სასარგებლოდაც დაასრულა — 12:11, თუმც შესვენების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

უარესად დაწყდათ ნერვები მსოფლიოს ჩემპიონ რუსებს. კორეელებთან თამაში მათთვის კოშმარით დაიწყო — ექვს წუთში ექვსი გოლი გაუშვეს ისე, რომ თავად ერთხელაც ვერ იყოჩალეს და მერეც კარგა ხანს ოთხი-ხუთი ბურთით ჩამორჩებოდნენ მეტოქეს (ტაიმი 11:15). ჩემპიონებმა ვერაფერი მოუხერხეს კორეელთა ვერცხლისწყალივით მოძრავ, ჩია (172 სმ) მეგოლეელ სან-იუნს, რომელმაც თერთმეტჯერ დაწიოკა მათი ბევრად ტანადი მცველები და მეკარე. რუსებმა მხოლოდ საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე შეძლეს პირველად დაწინაურება ირინა პოლტორაცკაიას ზუსტი ტყორცნის შემდეგ — 21:20 და მინიმალური უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს. გამარჯვების გოლიც დასკვნით, მე-60 წუთზე იმავე პოლტორაცკაიამ შეაგდო.

გაუჭირდათ ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოსან ფრანგებს, რომლებმაც მხოლოდ მატჩის მიწურულს გატეხეს საშუალო ესპანეთის შეუპოვრობა.



რუსებს ერთი სული აქვთ, ნიკოლაი ჟერდევს „კოლუმბუსის" მაისური გახადონ

NHL

რეგულარული ჩემპიონატი

2 დეკემბერი

კოლუმბუსი 2:1 ანაჰაიმი
0:0 1:0 1:1
1:0 ვიპორნი (27), 2:0 რ. ნეში (44), 2:1 პროსპალი (60)

ბილუნდერსი 1:4 ვაშინგტონი
0:3 0:0 1:1
0:1 მილერი (4), 0:2 იაგრი (5), 0:3 კვიატკოვსკი (10), 0:4 ზუბრუსი (42), 1:4 ეშამი (43)

ტორონტო 5:4 რეინჯერსი
3:3 1:0 1:1
1:0 სტეივენი (2), 1:1 ლეჩი (6), 2:1 რეზბერგი (6), 3:1 ფუინდაიკი (15), 3:2 სალმონი (17), 3:3 პოდეიკი (19), 4:3 ნოლანი (40), 5:3 სუნდინი (54), 5"4 კარტერი (54)

ფონრიალი 3:2 ტაფა
1:1 1:0 1:1
0:1 ტეილორი (11), 1:1 კოიფუ (16), 2:1 ზედნიკი (38), 2:1 ლეკავალუ (57), 3:2 ბულისი (59)

ნიუ ჯერსი 1:3 ფენიქსი
0:0 1:1 0:2
0:1 ტ. ნეში (24), 1:1 პანდოლფო (30), 1:2 გრეტონი (52), 1:3 ტანაბე (53)

სენტ ლუისი 4:1 ლოს ანჯელესი
2:1 1:0 1:0
1:0 ტკაჩუკი (7), 1:1 ბელანეე (13), 2:1 დ'ორეიკი (17), 3:1 ნიკულასი (29), 4:1 ჯერეიკი (59)

ატლანტა 3:1 სან ხოსე
0:0 2:1 1:0
1:0 იგინლა (32), 1:1 ჩიჩუ (38), 2:1 დონოვანი (40), 3:1 ფელინა (60)

გარაბია

გაერთიანებული საემიროები 20 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატს რომ მასპინძლობს, ვინძლო თქვენც იცით. ჰოდა, ეგ ამბავი სწორედ იქ ხდება — არგენტინელ ჭაბუკებს, ხავიერ მაშერანოსა და მის არაიდენტიფიცირებულ ძმობილს ადგილობრივები არაბთა ტრადიციული თავსაბურავით, გარაბიათი მოსავენ.

ლეიკლუისელი ბალღები

კანადურმა ლეიკ ლუისმა, რაიც პროვინცია ალბერტაში მდებარეობს, სწრაფდაშვებაში მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი ჩაასრიალა. ეს ლეიკლუისელი ბალღებიც სწორედ საამამბოდ გაყურებულან — ვინ იცის, მოვა დრო და ემაგ თხილამურებზე შედგომის სურვილი მათაც ეწვიოთ.

ჭოროლი

სიდნეიში ქალთა საჭოროლო ტურნირი მიმდინარეობს და არგენტინის ნაკრებმა ინგლისს იმ დღეს 2:0 აჯობა. ფოტოზე ერთმანეთს ბურთისთვის ებრძვიან ინგლისელი ჯო ელისი (მარცხნივ) და არგენტინელი მერსედეს მარგალოტი (შავი ნიფხვით).



შებერებულა

შებერებულა კაი ბარაქიანი გერმანელი მოცურავე ქალი ფრანცისკა ვან ალმსიკი, ველარ იგებს უკვე გერმანიის შიდაპირველობებს. აგერ, იმ დღესაც, მხოლოდ მეორე ადგილზე გასულა გელზენკირხენულ 100-მეტროვანზე და ამიტომაა, ტაბლოს ოდნავ გაკვირვებული და ნაწყენი რომ უცქერს.

ოცნება და ეიფორია

ლოს ანჯელესი მალე 38-ე სუპერბოულს, ამერიკის ეროვნული საფეხბურთო ლიგის მოპყომარებელ შეხლას უმასპინძლებს. ორგანიზატორებს გადაუწყვეტიათ, შეხლის შესვენებისას მაყურებელთა საამებლად ერთმანეთს მაგარი ნაშებისგან დაკომპლექტებული ორი გუნდი არკინონ. აი, ეს გუნდებიც — თეთრად მოსილებს „ოცნებისა“ ჰქვია, შავად გამოშხვართულებს კი „ეიფორიისა“. პირველებთან ერთად ფოტოზე ფეხბურთელ ერიკ დიკერსონს ხედავთ, მეორე შემადგენლობის ცენტრში ასევე ვარსკვლავ ლოურენს ტეილორს ჩაუმუხლავს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ცოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ღვებაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge